დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს წმინდა გარგარეს სახელობის სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:
ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
წევრები:
ეკატერინე წიფურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი ჯგუფის ექსპერტი)
ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)
გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**405159590**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი**
ფაქტობრივი მისამართი	**სერგი ჯიქიას N5**
საფოსტო ინდექსი	**0190**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://barbareschool.edupage.org/**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**skolabarbare@gmail.com**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 23 აპრილის N MES 4 24 0000456378 ბრძანება

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 01-02 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების **დაწყებითი** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	**დაწყებითი საფეხური**	**ქართული ენა**	**ქ. თბილისი სერგი ჯიქიას ქუჩა N5**
2	ზოგადი განათლების **საბაზო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	**საბაზო საფეხური**	**ქართული ენა**	**ქ. თბილისი სერგი ჯიქიას ქუჩა N5**
3	ზოგადი განათლების **საშუალო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	**საშუალო საფეხური**	**ქართული ენა**	**ქ. თბილისი სერგი ჯიქიას ქუჩა N5**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

შპს წმინდა გარგარეს სახელობის სკოლას ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის N63 გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით, მიენიჭა ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, ხოლო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 205 მოსწავლით.

2024 წლის 15 მარტს დაწესებულებამ მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სტატუსის უწყვეტობის მიზნით. დაწესებულებამ 2024 წლის 26 ივნისს ცენტრს აცნობა შეცვლილი ფართის მისამართი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუმენბისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტთა შემადგენლობით განხორციელდა დაწესებულების შეცვლილ მისამართზე, 2024 წლის 01-02 ივლისს ქ. თბილისში, სერგი ჯიქიას ქ. N5.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის, ვიზუალური დათვალიერების, სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შემუშავდა დასკვნის პროექტი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
205	96	160

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 160	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	*დაწესებულების სარგებლობაში არსებულ ფართში (შენობები N1, N2) კლასებისათვის განკუთვნილი ოთახების რაოდენობა და ფართობი არ იძლევა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობას თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად.* *ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულებაში სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობით - 120.*

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა -მეტწილად*
2. *ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად*
3. *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულად*

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორ 3.1.2.4-ის შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 30.09.2024.
3.2.1.1	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორების 3.2.1.1-ის შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 29.06.2025.
3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორების 3.2.1.2-ის შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 29.06.2025.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორ 3.4.1.1 შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 29.08.2024.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორ 3.4.1.3-ის შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 29.08.2024.
3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორ 3.4.1.5-ის შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით - 15.09.2024 წ.
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორის შესაბამისობა აქტივობების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 29.08.2024.
3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორის შესაბამისობა აქტივობების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 29.08.2024.
3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორის შესაბამისობა აქტივობების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 29.08.2024.
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორის შესაბამისობა აქტივობების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 29.08.2024.
3.5.1.6	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა საგანგებოდ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის მეშვეობით თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე რიცხულ სპორტული მოადანზე მათი გადაყვანისას და სპორტის გაკვეთილების მსვლელობისას.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორის შესაბამისობა აქტივობების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 15.09.2024.

4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორის შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 15.06.2025.
4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორის შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 15.06.2025.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* (დაწყებითი)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
N2.2.2.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოდს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითებზე დაყრდნობით	*ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)*	*სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოები და მრავალფეროვანი რესურსები შესაბამისი ბმულებით. მუსიკის კურიკულუმებშიც მიეთითოს რესურსები და კონტექსტ-მაგალითები, რაც დაეხმარება მოსწავლეს სამიზნე ცნებების დამუშავებაში. შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, რაც უზურნელყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორის 2.2.2.1 შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 15.09.2024.*
ინდიკატორი N2.1.2.4 განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება	*ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)*	*მუსიკის საგანში შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სიმღერის სწავლა არ არის მუსიკის საგნის სწავლების მიზანი, შესაბამისად, არ არის სასურველი*

მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.		*განმსაზღვრელი შეფასებით ამ კომპოზნენტის შეფასება. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიის შეფასების დონეები შემუშავდეს რუბრიკის სახითაც. შეფასების რუბრიკები ორივე საგანში გაიწეროს კომპლექსური ბუნების დავალების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
N2.2.2.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოდს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითებზე დაყრდნობით	*ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)*	*სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოები და მრავალფეროვანი რესურსები შესაბამისი ბმულებით. მუსიკის კურიკულუმებშიც მიეთითოს რესურსები და კონტექსტ-მაგალითები, რაც დაეხმარება მოსწავლეს სამიზნე ცნებების დამუშავებაში. შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, რაც უზურნელყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორის 2.2.2.1 შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 15.09.2024.*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი)*	*რჩევა*
N2.1.2.1. *შმუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*სასურველია, მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება აისახოს კურიკულუმშიც. მაგ: 1-ელ კლასში წარმოდგენილია მოსწავლის ნამუშევარი ნახატი - შეგრძნების ორგანოებით, კურიკულუმში კი მითითებულია სხვა პროდუქტის - ლეპბუქის/ჯიბეებიანი წიგნის შექმნა. 1-ელი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი რესურსები მწირია, მითითებულია მხოლოდ მოსწავლის სახელმძღვანელო, არ ჩანს თვალსაჩინოებები, მოდელები, ინტერნეტრესურსები ეპიზოდურად არის ჩართული.მე-2 კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთეთ კომპლექსური ბუნების დავალების პირობა სტრუქტურის დაცვით. მე-3 კლასში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა - ერთდროულად ორი განსხვავებული ჩარჩოს წარმოდგენა.გასწორდეს დანართში მოცემულ მეტაკოგნიტურ კითხვებში (მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კომპლექსური დავალების შესრულების პრეზენტაციის*

		პროცესში) შემდეგი კითხვა - ''რატომ ფიქრობ, რომ შენს მიერ შექმნილი პროდუქტი სოციალური რეკლამაა?'' - პროდუქტის შესაბამისი შეკითხვით. სასურველია, კურიკულუმში აისახოს მოდიფიცირებული პროდუქტიც ან პროდუქტის სახეები. მე-3 კლასის კურიკულუმში გაწერილია მზის სისტემის მოდელი, მოსწავლის ნამუშევრად კი წარმოდგენილია ნახატი. კურიკულუმის რევიზიის დროს მასწავლებლის მიერ უნდა შეფასდეს, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ნახატი სივრცეში ორიენტირებისათვის, რამდენად მზად არიან მოსწავლეები სამგანზომილებიანი მოდელის შესაქმნელად. შემდეგ კი კომპლექსური დავალების პირობაში, შეფასებს კრიტერიუმში და/ან პროდუქტში აისახოს. მე-5 კლასის კურიკულუმი საჭიროებს ცვლილებებს, უნდა გამოიკვეთოს სავალდებულო თემები, თუ მასწავლებელი კიდევ გეგმავს დამატებით რომელიმე თემის სწავლებას, უნდა გაიაზროს და დაგეგმოს გრძელვადიანი მიზნები, განსაზღვროს საკითხი, აქტივობები, შესაბამისი რესურსები.მე-6 კლასის კურიკულუმში უნდა გასწორდეს სავალდებულო თემები და საკითხები, გამოიყოს საკითხთა კლასტერი/ძირითადი საკითხი. გასწორდეს და დალაგდეს ჩარჩოში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები ერთი პრინციპით. კურიკულუმის ჩარჩო სასურველია, გაკეთდეს ერთნაირი ფორმატით დაწყებით საფეხურზე ან 1-4 და 5-6 კლასები მსგავსად.
N2.1.2.1. *შმუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)*	*მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისთვის კურიკულემებში მიეთითოს* ***კურიკულუმებში მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოები (მუსიკა) და რესურსების ბმულები (მუსიკა, ხელოვება).*** *მუსიკის საგნის მატრიცებში ასახონ კომპლექსური დავალების განხორციელების ნაბიჯები.*
ინდიკატორი N2.2.2.3 შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავბლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.	ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)	*მუსიკის საგანში შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიით შეფასება შემუშავდეს რუბრიკის სახითაც. განმავითარებელ შეფასებაში, როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში აისახოს რეკომენდაციებიც, რომელიც შედეგის გაუმჯობესებაზე და გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით პროგრესზე იქნება ორიენტირებული და შეფასება არ მოიცავდეს მხოლოდ აღწერას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ.*

ინდიკატორი N2.2.2.4 შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)	*მუსიკის საგანში წარმოდგენილი რუბრიკები ზოგადი სახისაა. სკოლას მიეცა რჩევაა, შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიით შეფასება შემუშავდეს რუბრიკის სახითაც, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის მეტად ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას.*
N2.1.2.4. *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*1-ლი კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოს თან ერთვის შეფასების ინსტრუმენტი 9, რომელიც ზოგადია და არ აკონკრეტებს რომელ შუალედურ მიზანს უკავშირდება. სასურველია, მოცემული შეფასების ინსტრუმენტი უკავშირდებოდეს საკითხს და მკაფიოდ განსაზღვრავდეს რას აფასებს მასწავლებელი, რის საფუძველზე და როგორ აპირებებს შედეგის გაუმჯობესებას. მე-2 კლასში არ არის თანდართული კომპლექსური დავალების პირობა, მოცემული შეფასების რუბრიკები ზოგადია. მე-3 კლასში გასწორდეს დანართში მოცემულ მეტაკოგნიტურ კითხვებში (მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კომპლექსური დავალების შესრულების პრეზენტაციის პროცესში) შემდეგი კითხვა - ''რატომ ფიქრობ, რომ შენს მიერ შექმნილი პროდუქტი სოციალური რეკლამაა?'' - პროდუქტის შესაბამისი შეკითხვით. სასურველია, მეოთხე კლასის განმავითარებელ შეფასებაში უფრო კონკრეტულად აისახოს მოსწავლის შეფასებები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებაში, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (მიღწევის დონის და მონაწილეობის ხარისხის მიხედვით) ზოგადია და მოითხოვს დაკონკრეტებას. მე- 5 კლასში განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მკაფიოდ განისაზღვროს სამიზნე ცნებები (მითითებული სამიზნე ცნება - ბიომრავალფეროვნება არარელევანტურია, ჩანაცვლდეს შესაბამისი ცნებით ან გაერთიანდეს მდგრად განვითარებაში), დაკონკრეტდეს შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ინდიკატორები.ანალოგიურად, მე-6 კლასში შეფასების რუბრიკა ზოგადია, უნდა დაკონკრეტდეს და გაიწეროს მოცემულ საკითხზე კომპლექსური ბუნების დავალების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.*
N 2.1.2.4 *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს*	*კომპიუტერული ტექნოლოგიები 2-6 კლასი*	*სასურველია, დაწყებითი საფეხურის ტექნოლოგიის კომპიუტერული გაკვეთილებზე დიფერენცირებული მიდგომები იყოს განსაზღვრული, შემაჯამებელი ან/და გამსაზღვრელი ან/და შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის -კომპლექსურ დავალების/კომპლექსური დავალების, აგრეთვე,სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს.*

დიფერენცირებულ მიდგომებს;		
ინდიკატორი 2.2.2.5 სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;		*სკოლამ აწარმოოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით გაწერილი პროცესების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია.*
ინდიკატორი 2.1.2.2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს *ინდიკატორი 2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;* *. ;*	*სახელმწიფო ენა*	*რჩევა: დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთი კლასის კურიკულუმში შეიმჩნევა ბუნდოვანება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში (იგულისხმება II- IV-V კლასებში გაწერილი სამიზნე ცნებები), თუმცა სხვა კლასების კურიკულუმები ითვალისწინებს ესგ-ს მიზნებს. შესაბამისად, სასურველი იქნება, თუ დაწყებითი კლასების პედაგოგები ყველა კლასის კურიკულუმში უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების, საკითხებისა და თემების შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.* *რჩევა: სასურველია, სკოლამ აწარმოოს კურიკულუმის განხორციელების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის დადასტურებას (მაგ. შეფასების ჯგუფის რეფლექსიები)*

ინდიკატორი N 2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	*ინგლისური ენა*	მე-6 კლასის კურიკულუმში ერთ-ერთი აქტივობა არის შემდეგი სახის: ,,დახატე შენი ოჯახის გენეალოგიური ხე, რომელიც უნდა მოიცავდეს მოკლე ბიოგრაფიულ ინფორმაციას ,შენს ოთხ ბებია–ბაბუზე, მშობლებზე და დედმამიშვილებზე". ოჯახის გენეალოგიური ხის დახატვის აქტივობა შეიძლება პრობლემატური იყოს რამდენიმე მიზეზის გამო: 1. ის არ ითვალისწინებს ოჯახების მრავალფეროვნებას და სხვადასხვა სტრუქტურას. 2. შეიძლება გამოიწვიოს დისკომფორტი იმ მოსწავლეებში, რომლებსაც არ ჰყავთ დედმამიშვილები ან არ იცნობენ ოჯახის წევრებს. 3. იჭრება მოსწავლეების პირად სივრცეში და მოითხოვს სენსიტიური ინფორმაციის გაზიარებას. სკოლას მიეცა რჩევა აქტივობების დაგეგმვისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის საჯაროობა, ასევე უფრო ინკლუზიური და ნაკლებად პრობლემატური იყოს მოსწავლეებისთვის. პირადი გენეალოგიური ხის ნაცვლად შეუძლიათ შექმნან წარმოსახვითო ოჯახი ,,მონსტრების", ,,ტროლების" დახატონ და ის წარუდგინონ კლასს სადაც გამოიყენებენ ის სამიზნე ლექსიკას და გრამატიკას რასაც მიემართება გაკვეთილი.

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.2.1.5. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში	*ინგლისური ენა*	*მე-7 კლასში მაგალითები შედარებისთვის გრაფაში მითითებულია სტატიები სამეცნიერო ჟურნალ Jstor-დან და ვებგვერდ History-დან როგორც ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს ამ კლასებში მოსწავლეების ინგლისური ენის დონე არ არის მაღალი შესაბამისად მათთვის რთული იქნება იმ სამეცნიერო სტატიების გაგება და წაკითხვა. გარდა ამისა, ,,მაგალითები შედარებისთვის" გრაფა მოიცავს იმის ნიმუშს თუ რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა, მაგალითად თუ წერენ იმეილს, უნდა იყოს იმეილის დაწერის ნიმუში და ზოგიერთ შემთხვევაში მოცემული ბმულები წარმოადგენს რესურსებს თუ რისი*

ჩართულობის შესაძლებლობას;		*დახმარებით შეასრულონ ესა-თუ ის დავალება. სკოლას მიეცა რჩევა შემოქმედებითი აქტივობების შესასრულებლად მოსწავლეებს მიაწოდოს მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე რესურსები.*
ინდიკატორი 2.2.2.5 სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;		*სკოლამ აწარმოოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით გაწერილი პროცესების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია.*
2.1.2.2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*კურიკულუმის ჩარჩოს ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად მოიაზრება მაგალითები შედარებისთვის. ეს კომპონენტი მოცემთ საშუალებას, გამოიკვეთოს ცოდნის კონსტრუირება, წინარე ცოდნაზე ახლის დაშენება შედარებების გზით.კურიკულუმის ჩარჩოებს თან დაურთეთ კომპლექსური ბუნების დავალებების პირობები სამიზნე ცნებებთან კავშირში.კურიკულუმებში დააკონკრეტეთ რესურსი, მათ შორის ელექტრონული რესურსები წარმოადგნეთ ბმულების სახით, ასახეთ სკოლაში არსებული რესურსი, რასაც იყენებთ მოცემული საკითხის სწავლებისას.*
2.1.2.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*სასურველია, დოკუმენტაციას დაერთოს მე-8 კლასის ისგ ფიზიკაში მსგავსად ქიმიისა და ბიოლოგიის გეგმებისა.*
2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს *ინდიკატორი 2.3.1.1 მონიტორინგი და შეფასება*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*ასახეთ შეფასების რუბრიკაში სამიზნე ცნებები სრულად, გაწერეთ ინდიკატორები/მოსწავლის მიღწევები კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით. მაგ: მე-7 კომპლექსური ბუნების დავალება ბიოლოგიაში შეფასებულია მოსწავლის მიღწევის დონეების მიხედვით, დავალება ითხოვდა კვლევის კომპონენტს, რაც არ არის ასახული აღწერილობაში. ასევე მე-8 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალება ჯანსაღი კვების შესახებ, რაც დაფუძნებულია კვლევაზე, თუმცა არ არის გამოკვეთილი პროდუქტი, გრძელვადიანი მიზანი, კვლევის კომპონენტი. სასურველია, თუ კათედრაზე იარსებებს საერთო ხედვა, რა ტიპის კომპლექსური ბუნების დავალება შეფასდეს განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასებით.*

ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;		*რჩევა: სასურველია, სკოლამ აწარმოოს კურიკულუმის განხორციელების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის დადასტურებას (მაგ. შეფასების ჯგუფის რეფლექსიები)*
N2.1.2.1. *შმუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)*	*მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისთვის კურიკულემებში მიეთითოს კურიკულუმებში მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოები (მუსიკა) და რესურსების ბმულები (მუსიკა, ხელოვება). მუსიკის საგნის მატრიცებში ასახონ კომპლექსური დავალების განხორციელების ნაბიჯები.*
2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	*ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)*	*მუსიკის საგანში ყველა კლასში შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიით შეფასება შემუშავდეს რუბრიკის სახითაც და მიეთითოს სამიზნე ცნებები.*
ინდიკატორი N2.2.2.3 შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავბლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.	ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)	*მუსიკის საგანში ყველა კლასში შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიით შეფასება შემუშავდეს რუბრიკის სახითაც. განმავითარებელ შეფასებაში, როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში აისახოს რეკომენდაციებიც, რომელიც შედეგის გაუმჯობესებაზე და გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით პროგრესზე იქნება ორიენტირებული და შეფასება არ მოიცავდეს მხოლოდ აღწერას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ.*

ინდიკატორი N2.2.2.4 შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)	*მუსიკის საგანში, ყველა კლასში შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მიეთითოს სამიზნე ცნებებიც. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, წრმოდგენილი სოლო ტაქსონომიით შეფასება შემუშავდეს რუბრიკის სახითაც, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის მეტად ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას.*

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი (საშუალო)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;		*რჩევა: სასურველია, სკოლამ აწარმოოს კურიკულუმის განხორციელების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის დადასტურებას (მაგ. შეფასების ჯგუფის რეფლექსიები)*
2.2.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*რჩევა - კურიკულუმის ჩარჩოს ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად მოიაზრება მაგალითები შედარებისთვის. ეს კომპონენტი მოცემთ საშუალებას, გამოიკვეთოს ცოდნის კონსტრუირება, წინარე ცოდნაზე ახლის დაშენება შედარებების გზით.კურიკულუმის ჩარჩოებს თან დაურთეთ კომპლექსური ბუნების დავალებების პირობები სამიზნე ცნებებთან კავშირში. ბიოლოგიის მე-11 კლასის კურიკულუმში და მოსწავლის ბარათში ისე ასახეთ კომპლექსური დავალება, რომ მკაფიოდ ჩანდეს, რა პროდუქტს ქმნის მოსწავლე. კურიკულუმებში დააკონკრეტეთ რესურსი, მათ შორის ელექტრონული რესურსები წარმოადგინეთ კონკრეტული ბმულების სახით, ასახეთ სკოლაში არსებული რესურსი, რასაც იყენებთ მოცემული საკითხის სწავლებისას. სასურველია, კათედრაზე წარმოდგენილი იყოს ყველა კურიკულუმის ჩარჩო, მათ შორის მე-11 კლასის ფიზიკის კურიკულუმი.*
ინდიკატორი 2.2.2.5 სკოლაში ფუნქციონირების		*სკოლამ აწარმოოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით გაწერილი პროცესების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია.*

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;		
N2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	*ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)*	*მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისთვის კურიკულემებში მიეთითოს მრავალფეროვანი რესურსები და კონტექსტ-მაგალითები.*
2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	*ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)*	*სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში, სოლო ტქსონომიის დონეების შეფასების შესაბამისად, შემუშავდეს შეფასების რუბრიკაც, რომელიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული.*
N2.2.2.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოდს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითებზე დაყრდნობით	*ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)*	*სასურველია პროექტული სწავლლების კურიკულუმები წარმოდგენილი იყოს ისეთი სახით, სადაც მითითებული იქნება ძირითადი საკითხი, ცნებები/ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალლითები, მრავალფეროვანი რესურსები.*
ინდიკატორი N2.2.2.3 შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავბლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.	ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა)	*სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში შემუშავდეს შეფასების რუბრიკაც. განმავითარებელ შეფასებაში, როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში აისახოს რეკომენდაციებიც, რომელიც შედეგის გაუმჯობესებაზე და გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით პროგრესზე იქნება ორიენტირებული და შეფასება არ მოიცავდეს მხოლოდ აღწერას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

2024 წლის 01 აგვისტოს სკოლამ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, მასზე თანდართული დოკუმენტაცია, მათ შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა შპს წმინდა გარგარეს სახელობის სკოლის არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომლებიც ორიენტირებულია სკოლის განვითარებაზე. მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის მისიას ემყარება სასკოლო სასწავლო გეგმა. მისიაში გაცხადებული ძირითადი მიზნებია: ჩამოაყალიბონ უსაფრთხო, დამხმარე და ინოვაციური საგანმანათლებლო გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა წარმოაჩინოს თავისი ინდივიდუალობა, გამოიმუშაოს კრიტიკული აზროვნების უნარი, რათა მოემზადონ წარმატებისთვის სწრაფად ცვალებად სამყაროში. მისიიდან გამომდინარე სკოლის ხედვაა აქტიური და მრავალფეროვანი სასწავლო საზოგადოება, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, კრეატიულობისა და უნარების განვითარებას, შთააგონებს მოსწავლეებს, მიიღონ გამოწვევები და შეიტანონ პოზიტიური წვლილი საზოგადოებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მისია და ხედვა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მათი შინაარსი მოიცავს მთავარ პრინციპებს - უსაფრთხო, დამხმარე და ინოვაციური საგანმანათლებლო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა წარმოაჩინოს თავისი ინდივიდუალობა, გამოიმუშაოს კრიტიკული აზროვნების უნარი, რათა მოემზადოს წარმატებისათვის სწრაფად ცვალებად სამყაროში. სკოლის ფილოსოფიის მთავარი არსი - მოსწავლეს ჰქონდეს შექმნილი ყველა პირობა, რომ თავი მაქსიმალურად უსაფრთხოდ იგრძნოს და შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მისიის, ხედვის და ღირებულებების შედგენის, განხილვისა და გაზიარებისთვის სკოლამ აწარმოვა სკოლის პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების გამოკითხვა. გასაუბრებისას მათ განაცხადეს, რომ სკოლის მიერ შეიქმნა შესაბამისი ჯგუფი, რომელმაც სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით დაადგინა ის მნიშვნელოვანი საკითხები რომელიც იქნა შემდგომში გათვალისწინებული მისია, ხედვა, ღირებულებების შექმნის დროს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ადმინისტრაციის თქმით სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოებისათვის, (ელექტრონული, სიტყვიერი და ვებ-გვერდზე განთავსებით) მიწოდებულია ინფორმაცია და სექტემბერში სკოლის ფოიეშიც იქნება გამოკრული, ვიზიტისას ამის ნახვა ვერ მოხერხდა რადგან ახალ შენობაში არიან გადასული 27.06.2024 დან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. კერძოდ, წარმოდგენილია დაწესებულების ვებ. გვერდზე. https://barbareschool.edupage.org/a/--15 ასევე ვიზიტისას განაცხადეს სექტემბერში სკოლის ფოიეშიც იქნება გამოკრული, ვიზიტისას ამის ნახვა ვერ მოხერხდა, რადგან ახალ შენობაში არიან გადასული 27.06.2024 დან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დაწესებულების სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: შეზღუდული

პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სახელწოდება: „წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლა“. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები);

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; შეფასება;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სკოლის ვებ გვერდი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სასკოლი სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. განსაზღვრულია სკოლის სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი;
მოცემულია კითხვები, რომლებსაც პასუხობს სკოლის სტრატეგიული გეგმა (რა ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს სკოლის განვითარების მიზნით, რა გზებით უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ სტრატეგიულ საგანმანათლებლო მიზნებს და სხვა); **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და წარმოადგენს მისიის და ხედვის რეალიზაციის გზას. სტრატეგიული მიზნები შეესაბამება სკოლის მისიას, ხოლო ამოცანები - სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება. აღნიშნულ წლებში სკოლის სტრატეგიული მიმართულებებია: ინფრასტრუქტურის განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მდგრადობის ხელშეწყობა, არაფორმლური განათლების შესაძლებლობების გამოყენება მოსწავლეთა ავტონომიურობისა და გამჭოლი კომპეტენციების გასავითარებლად, სასკოლო კულტურის შენარჩუნება-განვითარება, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება.
სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს ინკლუზიურ, უსაფრთხო და თანამშრომლობით სასწავლო გარემოს, ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების, სამოქალაქო ცნობიერებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარებას.
სკოლის სტრატეგიული გეგმა შეიცავს სკოლის ფილოსოფიასთან თავსებად მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და შეესამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასში მოცემულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო აქტივობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის ფორმით და ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადა, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების განხორციელების გასაჯაროების მექანიზმებს. ანგარიში წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ. გვერდზე. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, შესრულების ინდიკატორები გაზომვადია და ვადებიც რეალისტურადაა მითითებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შედგენილი აქვს შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს. სტრატეგიის შსრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტურია სკოლის სტრატეგია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგენს სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანაგარიშს. საერთო ანაგრიშის მომზადებაში

ჩართულია ყველა სტრუქტურული ერთეული და დასაქმებული პირი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარუდგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ სკოლის დირექტორს. ხოლო 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ანგარიში ხორციელდება შვიდწელიწადში სამჯერ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლას მოცემული პერიოდისათვის ქონდა 2022-2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში, ხოლო 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის ანგარიში სკოლას არ ქონდა, რადგან 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცდა 2023 წელის სექტემბერში და მეთოდოლოგიით განსაზღვრული პერიოდი ჯერ არ დამდგარა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დადგემვის მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების ზოგადი განათლების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით დაწესებულების ადმინისტრაცია შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიულ მიზნებს და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ახდენს ამოცანების ფორმირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლა იყენებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის . **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს წმიდნა ბარბარეს სახელობის სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დებულება, რომელიც არეგულირებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას, მის სტრუქტურას, სკოლის მართვის პრინციპებსა და წესებს. ასევე წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა, სადაც ასახულია სკოლაში არსებული ყველა პოზიცია. ასევე, ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა დასაქმებულთა ხელშეკრულებები, სადაც ფუნქცია მოვალეობები იყო მკაფიოდ გაწერილი. სკოლის საშტატო განრიგი და სტრუქტურა იერარქიული დაქვემდებარებით წარმოაჩენს სკოლის ადამიანურ რესურსს, მათ თანამდებობრივ პოზიციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც სკოლის საქმიანობის და მიმდინარე პროცესების ორგანიზების წინაპირობაა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო, თუმცა აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომ სკოლაში არის პედაგოგების ხშირი ცვლა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს წმინდა ბარბარეს სკოლის დებულება
- სკოლის სტრუქტურა
- შრომითი ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით. დოკუმენტი შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. სკოლაში მოქმედებს დამტკიცებული შინაგანაწესი, რომლის გაცნობა სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისათვის. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შრომითი უფლებების პირობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. კერძოდ სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზეც ხდება პერსონალის შერჩევა. სკოლა პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვის მიზნით ინტერვიუს დროს გამოივეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას, მაგალითის სახით სკოლამ მოიყვანა მასწავლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით. თუმცა აღსანიშნავია სკოლას არასოდეს არ ქონია დისციპლინური წარმოების პრაქტიკა, რაზეც ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ დისციპლინურ გადაცდომას სკოლის პერსონალის თუ მოსწავლეების მხრიდან ადგილი არასოდეს ქონია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვიზიტისას განხილულ იქნა მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლა ვაკანტური პოზიციის შესახებ აცხადებს კონკურსს. გამოიცემა ბრძანება და კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ვებ გვერდზე teachersjobs.ge. დამტკიცებულია მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის წესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლისას დადგინდა, რომ რამდენიმე თანამშრომლის პირადი საქმეში სრულად არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია. რამდენიმე თანამშრომელს არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ცნობები ნასამართლობის,

უფლების ჩამორთმევის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.

სკოლაში დასაქმებულთა რაოდენობა არის 31 პირი, აქედან 19 ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას: მათგან 9 უფროსი, 6 მაძიებელი, 4 მოწვეული მასწავლებელია. ვიზიტის დროს, დაწესებულებამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. პირველადი მონაცემით იყო მოწოდებული სხვა მონაცემი სადაც ფიქსირდებოდა 34 დასაქმებული, ხოლო განახლების შემდგომ მოგვეწოდა 31 დასაქმებულის მონაცემი. ასევე, ვიზიტისას აღმოჩნდა რომ სკოლას არ ჰყავდა ექიმი, მუსიკის და ფიზიკის პედაგოგები. ვიზიტისას აღნიშნულ პოზიციაზე გამოცხადდა ვაკანსიები. **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

5. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. თუმცა აღნიშნული ვერ დადასტურდა გარკვეულ საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს. მაგ. ფიზიკისა და მუსიკის პედაგოგები სკოლას არ ჰყავდა. ვიზიტის პერიოდში დაიდო ვაკანსია. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სკოლაში ხშირია პედაგოგების ცვლა. მეორეს მხრივ, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დოკუმენტალურად არის პროცესები დალაგებული, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს ფუნქციათა დელეგირებას და იერარქიულ დაქვემდებარებას, რაც პროცესების მწყობრად განხორციელებას უწყობდეს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლას შინაგანაწესით აქვს განსაზღვრული დასაქმებულის წახალისების ფორმები. მათ შორის არის, მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ფულადი პრემიის გაცემა და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია. გეგმით განსაზღვრულია ინდიკატორი 3.1.2.4-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის შესრულების პერიოდი 02.07.2024-30.09.2024. აქედან გამომდინარე კომპონენტი 3.1. შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორ 3.1.2.4-ის შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 30.09.2024.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს წმინდა ბარბარეს სახელობის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;
- მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის ამსახველი დოკუმენტაცია
- დასაქმებულთა შრომითი ხელშეკრულებები
- შინაგანაწესი
- დებულება

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის დებულება, რომელიც მასწავლებელთა საჭიროებების დადგენასა და განვითარების მხარდამჭერ ღონისძიებებზეა პასუხისმგებელი. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის დირექტორის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, ადმინისტრაციული მენეჯერის, შეფასების ჯგუფის ზოგადი მოვალეობები პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის

მიმართულებით. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა ამ მიმართულების განხორციელებული აქტივობების შესაბამისი მტკიცებულებები. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის საჭიროების კვლევას და აღნიშნულის საფუძველზე პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებას. სკოლამ ვერ წარმოადგინა პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგად შემუშავებული გეგმა და განხორციელებული აქტოვობების დამადასტურებელი მასალა. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. რაც, ძირითადად, გამოიხატება შესაბამისი ტრენინგების შეთავაზებით. ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, გაკვეთილების ერთად დაგეგმვა, დირექციის მხარდაჭერა. ეს პროცესები ასევე ასახულია ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტშიც (თავი 2). სკოლა ჰყავს მაძიებელი მასწავლებლები, რომელთათვისაც გამოყოფილია ტუტორი მასწავლებელები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია თანამშრომელთა ინტეგრაციის საკითხები სამუშაო გარემოსთან, ამასთან სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი მასწავლლებლის დასაქმების შემთხვევაში, შესაბამის საგნობრივ კათედრაზე მოხდება თანაშრომლის ტრანზიციის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება. შეხვედრები ფორმალურ და არაფორმალურ გარემოსი, სასკოლო ღონისძიებებზე ჩართულობით და ა.შ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებსპროფესიული განვითარების საჭიროების შესახებ ინიციატივის გამოხატვის შესაძლებლობას. ინიციატივა შეიძლება შეეხებოდეს ტრენინგების/კურსების/სემინარების თანადაფინანსებას, სპეციალისტის მოწვევას და სხვ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია ინდიკატორ 3.2.1.1-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის შესრულების პერიოდად 15.09.2024-30.06.2025, ხოლო ინდიკატორ 3.2.1.2-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის შესრულების პერიოდად 02.07.2024-30.06.2025. აქედან გამომდინარე კომპონენტი 3.2. შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორების 3.2.1.1 და 3.2.1.2-ის შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 29.06.2025.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- მაძიებელ მასწავლებლებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლას შედგენილი აქვს დოკუმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის თანახმად, სკოლაში დანერგილია შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროცესები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. შპს წმინდს ბარბარეს სახელობის სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი სადაც აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობით პროცესი უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება. დეტალურია დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და გულისხმობს: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოებას, საქმისწარმოებას (დოკუმენტბრუნვა), ფინანსების მართვას, საზოგადოებასთან ურთიერთობას და სხვა. თითოეული მიმართულებისთვის შედგენილია მარეგულირებელი დოკუმენტები, რაც განაპირობებს პროცესების ორგანიზებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. . სკოლა თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს აძლევს გასაჩივრების უფლებას ცალკეულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. წესი დეტალურად აღწერს დაწესებულებაში საჩივრის განხილვის პრინციპებს, განცხადების/საჩივრის წარდგენის წესს, განცხადების განხილვის ზოგად წესებს და ვადებს. გასაუბრებისას თუ არის მომართვიანობა ამ მიმართულებით, გაირკვა, გასაჩივრების შემთხვევები დაწესებულებაში არ ფიქსირდება, ასევე, სკოლაში დისციპლინური წარმოების შემთხვევებიც არ იყო განხილული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი";
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- შინაგანაწესი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას არ წარმოუდგენია სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების დეკლარირებული მექანიზმები. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების ყველაზე აპრობირებული მეთოდია მიმოწერა სოციალური ქსელის, sms ის საშუალებით, რომელიც ყველაზე ეფექტურია. ამასთან სკოლა მშობლებთან ინფორმირების მიზნით იყენს შიდა სასკოლო ჟურნალს და სატელეფონო შეტყობინებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. დაწესებულებაში დაკომპლექტებული კოლეგიური ორგანოების ფუნქციები არის გაწერილი. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, სადაც ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება, აზრის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის საშუალება. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა. ესწრებიან მშობელთა კრებებს, ასევე ჩართულები იყვნენ სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმები;
- მისია, ხედვა, ღირებულების შემუშავებისას გამოკითხვის შედეგები.
- შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა დაწესებულების შეცვლილ ფართზე, ქ. თბილისი, სერგი ჯიქიას N5.

დაწესებულების სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა მდებარეობს სამანქანო გზის გასწვრივ, ხოლო შენობის ეზო გზისაგან გამიჯნულია ლითონის ბადით. აღსანიშნავია, რომ შენობის პირველ სართულზე იგეგმებოდა 3 საკლასო ოთახის მოწყობა. მათგან 2 საკლასო ოთახის შესასვლელი კარი სკოლის ეზოშია, ხოლო 1 საკლასო ოთახის კარი კი ეზოს გარეთ, ქუჩაში. აღსანიშნავია, რომ სველი წერტილების სარგებლობისათვის ამ საკლასო ოთახში განთავსებულ მოსწავლეებს მოუწევთ ეზოს გავლა. აღნიშნული გარემოებები საგულისხმო ფაქტორია მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. **(დანართი N1 - ფოტომასალა)**

ვიზიტის პერიოდში შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში (N1, N2) მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა:

- უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. დასკვნის თანახმად შენობა ნაგებობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მზიდი კონსტრუქციები მდგრადი და სეისმომედეგია. შენობა აკმაყოფილებს 8 ბალიან სეისმომედეგ მოთხოვნებს და ეძლევა დადებითი შეფასება.
- მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. (01.07.2024 წ.)

<u>სკოლას უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა</u>. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იყო მიმართვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაცების მართვის სამსახურში საგანგებო სიტუაციების გეგმის შესათანხმებლად. (01.07.2024 წ.)
ვიზიტის პერიოდში <u>არ იყო მოწყობილი ექიმის კაბინეტისათვის განკუთვნილი ოთახი. (სკოლა გეგმავდა N1 შენობაში არსებული ფართის გადატიხვრას).</u> ექიმის პოზიციაზე განთავსებული იყო ვაკანსია. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 14 მარტს გაგზავნილი კორესპონდენცია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შპს „წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების (პროექტი) შესათანხმებლად. სკოლას ჰყავს დისციპლინისა და უსაფრთოხების მენეჯერი. განსაზღვრული იყო უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე განსაზღვრული პირი. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მონტაჟი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფენ საგნის პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის მუშაობა მიმართული მოსწავლეთა მხარდაჭერისაკენ. ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მცირერიცხოვანი კლასები ერთ-ერთი ფაქტორია, რის გამოც მოსწავლეებს ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო ექმნებათ. სკოლის სტუქტურა ითვალისწინებს ფსიქოლოგის არსებობას. თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა ფსიქოლოგი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად დასაქმებულები არიან დამლაგებლები.
ვიზიტის პერიოდში შენობებში არ იყო მოწყობილი სველი წერტილები გოგონებისა და ბიჭებისათვის. საგულისხმოა, რომ შენობები არ არის სტანდარტული ტიპის სასკოლო სივრცე; აქამდე გამოიყენებოდა როგორც საბავშვო ბაღი.
N2 შენობაში თითოეულ ოთახში, რომელიც განკუთვნილია საკლასო ოთახის მოსაწყობად, განთავსებულია ინდივიდუალური სველი წერტილი. სკოლაში გეგმავდა სამუშაოებს მესამე სართულზე სველი წერტილების საკლასო ოთახის გარეთ განსათავსებლად, ხოლო პირველ სართულზე კიდევ ერთი სველი წერტილის მოსაწყობად. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლამ წარმოადგინა შიდა რეგულაცია „პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან გაფორმებული ხელშეკრულება. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მასწავლებლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავს პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს. მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებაში სკოლის უფლებას მიეკუთვნება *„სკოლის ვებ გვერდზე, სოციალურ ქსელში, სკოლის შენობაში ან/და საჭიროებისამებრსხვა ადგილებში განათავსოს მოსწავლის ფოტოები, ვიდეოები, ვიზუალური გამოსახულებები და სხვა სახის ინფორმაცია;“*(მუხლი 2, პუნქტი 4). აღნიშნული ჩანაწერით მშობელს არ აქვს არჩევანის შესაძლებლობა, გამოეხატოს თანხმობა ან უარი შვილის ფოტოების სკოლის მიერ გამოყენებაზე. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებლია საქმისმწარმოებელი და აგრეთვე, სკოლაშიდ დასაქმებული სხვა პირები ფუნქციების შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში სკოლის ხელთ არსებული ინფორმაცია ინახებოდა ადმინისტრაციისათვის (დირექცია და საქმისმწარმოებელი) განკუთვნილ ოთახში, მატერიალური და ციფრული ფორმით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. გასაუბრებით დადგინდა, რომ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას ახორციელებს სკოლის დირექტორი და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია ინდიკატორ 3.4.1.1-ისა და ინდიკატორ 3.4.1.4-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების პერიოდად 29.07.2024-29.08.2024.

ინდიკატორ 3.4.1.5-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის შესრულების პერიოდად 02.07.2024-15.09.2024. აქედან გამომდინარე კომპონენტი 3.4. შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორების 3.4.1.1 და 3.4.1.3-ის შესაბამისობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 29.08.2024, ხოლო ინდიკატორ 3.4.1.5-ის შესაბამისობა - 15.09.2024 წ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, შპს „მშენ-ექსპერტი+“ 05.04.2023 წ.
- მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. (01.07.2024 წ.)
- მიმართვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში საგანგებო სიტუაციების გეგმის შესათანხმებლად. (01.07.2024 წ.)
- ექიმის დებულება
- სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი
- პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან გაფორმებული ხელშეკრულება
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის სარგებლობაშია იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ქალაქ თბილისში, სერგი ჯიქიას ქუჩა N5 მდებარე მიწის ნაკვეთი (დაზუსტებული ფართობი 393.00 კვ.მ.) და მასზე მდებარე შენობა ნაგებობები - N1 და N2. იჯარის ხელშეკრულება დამოწმებულია 2024 წლის 26 ივნისს; მოქმედების ვადა - 2033 წლის 31 დეკემბერი.

- შენობა N1 მოიცავს ნახევარსარდაფს და 1 სართულს. ვიზიტის პერიოდში შენობაში არ იყო მოწყობილი სასკოლო ინფრასტრუქტურა. დაგეგმილი იყო შენობაში ბიბლიოთეკის, ექიმის კაბინეტისა და ორი საკლასო ოთახის მოწყობა, ხოლო ნახევარ სარდაფში - ბუფეტისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.
- N2 შენობა ოთხსართულიანია. ვიზიტის პერიოდში არ იყო მოწყობილი სასკოლო ინფრასტრუქტურა.

შენობის პირველ სართულზე იგეგმებოდა 3 საკლასო ოთახის მოწყობა.

შენობის მეორე სართულზე გამოყოფილი იყო ოთახები სამი საკლასო ოთახის მოსაწყობად. საკლასო ოთახებში ტიხრით გამოიყოფა ორი სივრცე: პირველ სივრცეში განთასებულია მერხები ხოლო მეორე სივრცეში განთავსებულია ერთი ინდივიდუალური სველი წერტილი. ამავე სართულზე მოწყობილია ისტ ლაბორატორია და ოთახი ადმინისტრაციისათვის. მეორე სართულზე არსებული ოთახების კარები გამოდის ღია სივრცეში, აივანზე, რომელიც დამატებით დაცულია ლითონის ბადით. **(დანართი N1 - ფოტომასალა)**

მესამე სართულზე არის სამი ოთახი და ფოიე. სკოლა გეგმავდა ფოეის გადატიხვრას ამ სართულზე მეოთხე საკლასო ოთახის მოწყობად. მეოთხე სართულზე არის მხოლოდ ერთი ოთახი.

ვიზიტის პერიოდში არ იყო უზრუნველყოფილი სკოლის სარგებლობაში არსებულ ფართში საგანმანათლებლო საქმიანობის შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ორივე შენობაში შესაძლებელია 12 საკლასო ოთახის მოწყობა. ოთახის ფართობები განსხვავებულია. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით შესაძლებელია 120 მერხის განთავსება.

საგანმანათლებლო საქმიანობისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით, 2018 წელს შესრულებული აუდიტის დასკვნით და 2018 წლით დათარიღებული სასაქონლო ზედნადებით. <u>სკოლამ ვერ წარმოადგინა ამ დროისათვის არსებული მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია</u>

(ინვენტარიზაცია). შესაბამისად ვერ შეფასდა საგანმანათლებლო საქმინობისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსის ფლობა. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ იყო მოწყობილი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა. თუმცა სკოლას შემუშავებული ჰქონდა სარგებლობის წესები, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვიზიტის პერიოში სკოლის ინფრასტრუქტურა არ ქმნიდა ინკლუზიურ გარემოს. შენობები, სკოლის ეზო და სველი წერტილები არ იყო ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე პირებისათვის. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. ვიზიტის პერიოდში არ იყო დასრულებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესი. არ იყო მოწყობილი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. შესაბამისად ვერ ხერხდება ინდიკატორის შეფასება. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5, კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების ფლობის დადასტურებისათვის სკოლამ წარმოადგინა

- სასაქონლო ზედნადებით დასტურდება, რომ სკოლა ფლობს წიგნად ფონდს 2064 ერთეულს.
- ვიზიტის პერიოდში ვერ დადასტურდა სპორტული ინვენტარის ფლობა. სპორტის გაკვეთილისათვის გამოყოფილია 29.75 კვ.მ ფართობის ოთახი, რომელშიც დასაწყობებული იყო სასკოლო ინვენტარი.
- 2018 წლით დათარიღებული სასაქონლო ზედნადები, რომლითაც დადასტურდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფლობა. თუმცა ამჟამად არსებული ინვენტარის შესახებ ინფორმაცია სკოლას დოკუმენტურად არ აქვს წარმოებული.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღწერა: სივრცის ორგანიზება *: ლაბორატორიისთვის განკუთვნილია სივრცე, რომელიც მოთავსებული სკოლის შენობის ფლიგელში. ფლიგელში მოსახვედრად, ძირითადი შენობის პირველი სართულიდან გავდივართ ღია სივცეში, რამდენიმე საფეხურით ქვევით დაშვებისას ღია ეზოს გავლით ვხვდებით ლაბორატორიისთვის განკუთვნილ ოთახში. შშმ მოსწავლითვის ლაბორატორიაში მოხვედრა შეუძლებელია, რადგან გარემო არ არის ადაპტირებული. ოთახის კუთხეში პატარა სივრცეა, სადაც კარადებია განთავსებული, მისი გამოყენება შესაძლებელია ლაბორატორიული ინვენტარის შესანახად.*

ბუნებრივი განათება და ვენტილაცია: *მიუხედავად იმისა, რომ ოთახში ფანჯრებია კედლის ორივე მხარეს, განათება არასაკმარისია. განიავების შესაძლებლობა არის. ამწოვი ფარი არ არსებობს.*

ტევადობა*: ლაბორატორიისთვის განკუთვნილი ოთახი მცირე მოცულობისაა, მერხები განლაგებული არ არის, შედარებით დიდი კლასის (მაგ 15-20 მოსწავლის) განთავსება შეუძლებელია.*

სველი წერტილი: *ოთახს უკავშირდება სველი წერტილი, რომელიც ამჟამად მოწყობილი არ არის. ზოგადად, ლაბორატორიის ოთახის სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები დამაკმაყოფილებელი არ არის.*

უსაფრთხოება: *არ ჩანს სადემონსტრაციო მაგიდა და მისი ზედაპირი, არ არის უტილიზაციის კუთხე, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. რეაქტივები (მცირე რაოდენობით) ეტიკეტირებულია, თუმცა ხელმისაწვდომია მოსწავლისათვის, რადგან კარადა არ იკეტება. არ ჩანს პირველი დახმარების გასაწევად სამედიცინო ყუთი შესაბამისი ინვენტარით. არ არის ეკიპირებისთვის საჭირო ხალათები ან წინსაფრები.*

ლაბორატორიული აღჭურვილობა: *კედელზე განთავსებულ კარადებში მოთავსებულია ქიმიური ჭურჭელი, რეაქტივები, დამცავი სათვალეები.თაროებზე მოთავსებულია ანშტაინის ლაბორატორიის ფიზიკის და ბიოლოგიის ნაწილი, მიკრისკოპები, მულაჟები. ინვენტარის სრული დათვალიერება შეუძლებელია, რადგან არ არის ამოლაგებული ყუთებიდან. არ ჩანს პოსტერები და ტაბულები. ინვენტარიზაცია ამ ეტაპისთვის არ არის შესრულებული.* ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმით ინდიკატორების 3.5.1.1, 3.5.1.2, 3.5.1.3 და 3.5.1.4 შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების პერიოდად განსაზღვრულია 29.07.2024-29.08.2024, ხოლო ინდიკატორ 3.5.1.6-ის შესრულების პერიოდად 02.07.2024 – 29.08.2024.

ამასთან სკოლამ წარმოადგინა

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება (29.07.2024). ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია „მხაარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.“
- სპორტული ინვენტარის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.
- ინვენტარიზაციის აქტი 25.07.2024 წლის მდგომარეობით.
- შენობის აზომვითი ნახაზი, რომელზეც აღნიშნულია თითოეული ოთახის ფუნქციური დატვირთვა. ნახაზის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ვიზიტის შემდგომ შეიცვალა საკლასო ოთახების გადანაწილება. აღსანიშნავია, რომ გადმოგზავნილ სქემაზე ოთახში, რომლის კარი ეზოს გარეთ არის, კლასის ნაცვლად განთავსდება, სამასწავლებლო, ხოლო მანსარდაში, რომელიც სამასწავლებლოსათვის იყო განკუთვნილი, სკოლა მოაწყობს ორ საკლასო ოთახს.
- სკოლამ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის გამგეობის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლის განცხადების პასუხად (რომლითაც მოთხოვნილია სკოლის მოსწავლეებისათვის სპორტული მოედნით სარგებლობა დილის 10:00 საათიდან 15:30 საათამდე), გამგეობა არ არის წინააღმდეგი წმინდა ბარბარეს სკოლის მოსწავლეებმა ისარგებლონ თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე რიცხული სპორტული მოედნით, ვინაიდან სპორტული მოედანი წარმოადგენს საჯარო სივრცეს და მისით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, მათ შორის სკოლის მოსწავლეებსაც.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა საგანგებოდ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის მეშვეობით თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე რიცხულ სპორტული მოადანზე მათი გადაყვანისას და სპორტის გაკვეთილების მსვლელობისას. (ინდიკატორი 3.5.1.5)

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორების 3.5.1.1, 3.5.1.2, 3.5.1.3, 3.5.1.4 და 3.5.1.6-ის შესაბამისობა აქტივობების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 29.08.2024.

კომპონენტი 3.5. შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, 26.06.2024
- აუდიტის დასკვნა, 2018 წ.
- სასაქონლო ზედნადებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება 3 ლეპტოპისა და 2 პრინტერის ფლობა. პერსონალური კომპიუტერები და 2 ლეპტოპი განთავსებული იყო ისტ ლაბორატორიაში, აგრეთვე, პერსონალური კომპიუტერები იყო საქმისმწარმოებლისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის სარგებლობაში. სკოლის მიერ ამ რესურსის ფლობა სასკოლო დოკუმენტაციით (სკოლა არ აწარმოებს ინვენტარიზაციას) ვერ დადასტურდა. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოსწავლეებისა და პერსონალისათვისხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლის მიერ დადგენილი კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. სკოლამ წარმოადგინა ინვენტარიზაციის აქტი, რომლითაც დასტურდება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ფლობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასაქონლო ზედნადები, 2024
- სასაქონლო ზედნადები, 2018
- აუდიტის დასკვნა, 2018
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების ერთიანი წესი; წარმოებს ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, სარეგისტრაციო ჟურნალები. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ვიზიტის პერიოდში <u>სკოლას დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა დანერგილი არ ჰქონდა.</u> **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია და მასზე თანდართული დოკუმენტაცია - ხელშეკრულება სისტემის ლიცენზიის სარგებლობაში გადაცემის შესახებ (26.07.2024). აქედან გამომდინარე კომპონენტი 3.6-ის შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
- საქმისწარმოების წესი
- რეგისტრაციის ჟურნალები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასათან კომუნიკაციის წესი. სკოლა საზოგადოებისათვის ურთიერთობისათვის იყენებს ვებ გვერდს, სოციალურ ქსელს, სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებს, ელ. ჟურნალს, ელ.ფოსტასა და სატელეფონო ზარებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის ვებ გვერდზე (https://barbareschool.edupage.org/) და სოციალური ქსელის გვერდზე ინფორმაცია ქვეყნდება პასუხისმგებელი პირის მიერ. დირექტორის მიერ ხდება ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება და დადასტურება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სასწავლო წლის მანძილზე მიმდინარეობს ინტენსიური კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასა და ადმინისტრაციას შორის. დირექციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ხდება მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სკოლის შინაგანაწესი, ეროვნული სასწავლო გეგმა, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, მოსწავლის ჩარიცხვის წესი, საჩივრის პროცედურა, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
- https://barbareschool.edupage.org/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სკოლის შემოსავლები და ხარჯები ასახულია სკოლის ბიუჯეტში. სკოლის დაფინანსების წყაროებია: „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი და მშობელთან დადაებული ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის გადასახადი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს პარტნიორთა კრება, ხოლო განკარგავს სკოლის დირექტორი. ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
- სკოლის წესდება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთა შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები: შინაგანაწესი, ინკლუზიური განათლების განხორციელების წესი, რეფერირების წესი, პერსონალის, მშობლისა და ბავშვის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, შინ სწავლების წესი, რემედიაციის წესი, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და სხვ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან სხვადასხვა მექანიზმებით ვებ გვერდზე განთავსება, მშობელთან დადებული ხელშეკრულებები, მშობელთა კრებები და სადამრიგებლო მუშაობის პროგრამა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მოსწავლის სკოლიდან გადაყვანის წესებს, სწავლის ღირებულებას, გადახდის წესებსა და პირობებს, გაფრთხილების წესს, მხარეთა პასუხისმგებლობას, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და შეწყვეტის წესს და სხვ. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ „ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მხაარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს წერილობით არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე, ხოლო სასწავლო წლის დამთავრებისას აუცილებელია ხელშეკრულება განაახლოს მომდევნო წლის დაწყებამდე არანაკლებ 3 (სამი) თვით ადრე. მშობელს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური უკან არ უბრუნდება.“ სკოლის მიერ დადგენილი წესი არღვევს „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ მუხლი 33 [2.] პუნქტი 6. კერძოდ, „ კერძო სკოლა ვალდებულია მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში „მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური (არსებობის შემთხვევაში). **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმით ინდიკატორ 4.1.1.3-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის შესრულების პერიოდად განსაზღვრულია 10.07.2024-15.09.2024. აქედან გამომდინარე კომპონენტი 4.1 შეფასდა მეტწილად შესაბამისად.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორის შესაბამისობა აქტივობების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 15.09.2024.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- ინკლუზიური განათლების განხორციელების წესი
- რეფერირების წესი
- პერსონალის, მშობლისა და ბავშვის კანონიერი უფლებების დაცვის წესი
- განცხადების/საჩივრის განხილვის წესი
- შინ სწავლების წესი
- რემედიაციის წესი
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- მშობელთან დადებული ხელშეკრულება
- ვებ გვერდი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. წესი გამჭვირვალეა, შეესაბამება კანონმდებლობას და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. სასკოლო დოკუმენტაციის, მოსწავლეთა პირადი საქმეების, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესწავლითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები კანონმდებლობის შესაბამისია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სკოლის ვებ გვერდზე, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ უშუალოდ დირექტორთან გასაუბრებით მიიღონ დეტალური ინფორმაცია. სკოლის საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის სკოლა იყენებს გვერდს სოციალურ ქსელში და დახურულ ჯგუფებს. სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია ასახულია შინაგანაწესში, რომელიც საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გასაუბრებით, სკოლის ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის გვერდის შესწავლით, დგინდება რომ სკოლა განახლებულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს. სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები გამოიყენება დამრიგებლების მიერ ინფორმაციის განახლებად რეჟიმში მისაწოდებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
- ვებ გვერდი
- მშობელთან დადებული ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი. მოსწავლის ადაპტაციის პროცესში ჩართულ პირები არიან ადმინისტაცია, დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია მოსწავლეთა ტრანზიციისა და სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა სოციალიზაციაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა მხარს უჭერს შესაბამისი საჭიროების მქონე მოსწავლეს სათანადო კონსულტაციებით. სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის წესი და რემედიაციის განრიგი მოსწავლისათვის, რომელსაც დანიშნული აქვს საშემოდგომო გამოცდა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლა დროულად პასუხობს მოსწავლეთა საჭიროებებს და საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმიანობას (კლასიდან კლასში გადასვლა, საფეხური დაძლევა, მობილობა, ჩარიცხვა, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდები) წარმართავს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. მოსწავლეებს შეუძლიათ მიმართონ კლასის დამრიგებელს, მასწავლებლებს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, სკოლის დირექტორს ინიციატივებით, განიხილონ იდეები და მიიღონ მხარდაჭერა დამატებითი/არაფორმალური აქტივობების განსახორციელებლად. მოსწავლეთა ინიციატივით ეწყობა სასკოლო შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები, ექსკურსიები.

სკოლას შემუშავებული აქვს ინიციატივების მხარდააჭერის მექანიზმი, რომლითაც განსაზღვრულია ინიციატივის განხილვის ვადა და დაფინანსების შესაძლებლობა. სკოლა უშვებს ყოველწლიურად არანაკლებ სამი ინიციატივის დაფინანსების შესაძლებლობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მიღებული უკუკავშირი გამოიყენება მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად. პროცესი წერილობითი სახით არ დასტურდება, სკოლამ ვერ წარმოადგინა გამოკითხვების ჩატარების პრაქტიკა. თუმცა აღინიშნა, რომ იგეგმება სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მისაღებად ერთიანი მიდგომის დანერგვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი
- შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლაში საშემოდგომო გამოცდის ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ, 17.06.2024
- რემედიაციის პროგრამა
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მტკიცებულებები ან სკოლის პრაქტიკის აღწერა ვიზიტის პერიოდში არ იყო წარმოდგენილი. დირექციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტის ღია კარის დღეების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ მოსწავლეებს. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დირექციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას, მის შეფასებას და შეფასების შედეგების გამოყენებას მომსახურების გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმით ინდიკატორების 4.2.2.1 და 4.2.2.3-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის შესრულების პერიოდად განსაზღვრულია 15.09.2024-15.06.2025. აქედან გამომდინარე კომპონენტი 4.2 შეფასდა მეტწილად შესაბამისად.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინდიკატორის შესაბამისობა აქტივობების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით 15.06.2025.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გასაუბრება დირექტორთან
- გასაუბრება სასწავლო პროცესის მენეჯერთან

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი, შიდა მონიტორინგის ჯგუფის შესახებ ბრძანება. შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში გაგზავნილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლაში ერთი მოსწავლე არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. მოსწავლე ირიცხება მე-9 კლასში. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის პირადი საქმე, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას არ ჰყავს მასწავლებელი და/ან ფსიქოლოგი. პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომას, იცნობენ და ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა, 22.03.2023
- სსსმ მოსწავლის პირადი საქმე
- ისგ ჯგუფის ოქმები
- სსსმ მოსწავლის ისგ

***4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების სახით სთავაზობს გახანგრძლივებულ წრეს. მომსახურება ხორციელდება მხოლოდ დაწყებითი განათლების საფეხურზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. დამატებითი მომსახურების მიღება ნებაყოფლობითია და ხორციელდება მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლამ აღნიშნა, რომ გახანგრძლივებული წრის მომსახურება ითვალისწინებდა და კვლავაც გაითვალისწინებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებსა და ინტერესებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი)	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გამახვილებულია ყურადღება კურიკულუმის შემუშავების პროცესებზე და გაწერილია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობის შესაძლებლობა და ვალდებულება. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები: დირექტორი, ადმინისტაციული საკითხების მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, საგნობრივი კათედრების მენეჯერი, მასწავლებლები, რომლებსაც ეს დოკუმეტი ავალდებულებს შეიმუშავოს კურიკულუმი ესგ-ისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინებით. როგორც აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს, კურიკულუმის დიზაინის შექმნა განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის აქტიური თანამშრომლობით. ერთად დაგეგმეს თემები და საკითხები/ქვესაკითხები, რომელსაც თემის ფარგლებში ასწავლიან საფეხურის შედეგების მისაღწევად; კომპლექსური დავალებები; ძირითადი და დამხმარე რესურსები, ასევე შეფასების ინსტრუმენტები. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გაანალიზდება წინა წლის კურიკულუმი რამდენად ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს - ვკითხულობთ დოკუმენტში. წარმოდგენილი დოკუმენტები და

პედაგოგებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ნამდვილად იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

2. წარმოდგენილ დოკუმენტებში (საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, კათედრის სხდომის ოქმები, სასკოლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები) იკითხება, აგრეთვე, კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს დადასტურდა სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინება. ამ ინტერესების საფუძველზე ხორციელდება კურიკულუმის შემუშავება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. პედაგოგებმა გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა, რომ მომავალშიც ერთობლივად შეიმუშავებენ, შექმნიან და განახორციელებენ კურიკულუმებს, მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების ინტერესების და შეხედულებების შესაბამისად. დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ სასკოლო კურიკულუმის ასპექტების ადაპტირებაში ჩართულია ყველა მასწავლებელი და თითოეულ მასწავლებელს შეუძლია შეიტანოს წინადადება სკოლის საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნულის დასტურად შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ სწორედ მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, სკოლას შეთავაზებული აქვს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობის ვალდებულება გაწერილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. სასკოლო კურიკულუმი არის მოქნილი დოკუმენტი, რომელიც შემუშავდება სკოლის საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით იქმნება სასკოლო საზოგადოების ერთობა, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმის შექმნას, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას და იგივეს ვკითხულობთ წარმოდგენილ დოკუმენტებში. სკოლაში გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რომელიც ზოგი თანამშრომლის ყოველდღიური საქმიანობაა და ზოგს კი სპეციალური ბრძანებით აქვთ დავალებული. ასევე, განსაზღვრულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის ფორმები. დოკუმენტის მიხედვით განსაკუთრებული როლი აკისრია დირექტორს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ მნიშვნელოვანია უკუკავშირის მისაღებად და შესაბამისად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია სასკოლო კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები: სკოლის სივრცე, სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, მესენჯერ ჯგუფები, სამუშაო შეხვედრები. ეს მექანიზმები

უზრუნველყოფს შემუშავებული კურიკულუმების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის და დაინტერესებულ პირთათვის. კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც იგივე დადასტურდა. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომის ოქმები

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე. რის მიხედვით შექმნილი და წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები და დანართები (მაგ: ჩვენი საქართველო (V-VI) და მე და საზოგადოება (III- IV)), რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი მიზნის მიხედვით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას.

კურიკულუმებს ახლავს დანართები, თემატური მატრიცები/ კომპლექსური დავალების ბარათები, სადაც ნაბიჯების მიხედვით გაწერილია კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები, შესაბამისი აქტივობებითა და რესურსებით. სკოლის მიერ ასევე წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტის სახით მოსწავლეთა ნამუშევრები, რომელიც ეყრდნობა კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს, რაც ხელს უწყობს მათზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შექმნის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებებს, მოსწავლეთა საჭიროებებს, მზაობას და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილის მიხედვით ახდენენ კურიკულუმში ცვლილებების შეტანას (მაგ: ჩვენ საქართველოში კომპლექსური დავალებები: იმერეთზე, გურიაზე, სამეგრელოზე. მე და საზოგადოებაში: ზრუნვა ცხოველებზე და მცენარეებზე, ოჯახური ტრადიციების შესახებ, კლასის კონსტიტუციის/წესების შექმნა და სხვ.) შესაბამისად დაწყებით საფეხურზე სკოლას/კათედრებს გააზრებული აქვს ხედვა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვის .

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია ბუნებისმეტყველების კურიკულუმები, რომელშიც ასახულია სასწავლო პროცესის დაგეგმვის და გახორციელები გზები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია თემები, საკითხთა ჯგუფები, რესურსები, კომპლექსური ბუნების დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში და შესაბამისად, არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში. როგორც ინტერვიუდან დასტურდება, მასწავლებლები ცდილობდნენ, გაეზიარებინათ გამოცდილება ერთმანეთისთვის, დაეგეგმათ კომპლექსური ბუნების დავალებები, შეეთავაზებინათ ქეისებით სწავლებაც, მაგ: (მე-2 კლასი ''გახდი წყლის მცველი'' სიმბოლოების შექმნა, მე-6 კლასი ბუკლეტი ''ადამიანის ორგანიზმი''.) კურიკულუმების ახალი ჩარჩო-დოკუმენტების შექმნა და სასწავლო პროცესის წარმართვა ერთწლიან გამოცდილებას ეფუძნება. შესაბამისად, დაწყებით საფეხურზე სკოლას მიეცა რჩევები.

დაწყებითი საფეხურზე **ხელოვნების და მუსიკის** საგნებში სკოლამ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩო. კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები. ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. აღნიშნული კურიკულუმები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე; კურიკულუმებში არ არის წარმოდგენილი მრავალფეროვანი რესურსები, ხოლო მუსიკის კურიკულუმებში არ არის მითითებული კონტექსტ-მაგალითები. **რჩევა:** მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და

განვითარებისთვის კურიკულემებში მიეთითოს მრავალფეროვანი რესურსები და კონტექსტ-მაგალითები. დავალების პირობები გაიწეროს სრულყოფილის სახით. მატრიცებში ასახონ კომპლექსური დავალების განხორციელების ნაბიჯები. **სკოლამ წარმოადგინა ჩასწორებული კურიკულუმები, შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში რჩევათა ნაწილი გათვალისწინებულია. კომპლექსური დავალების პირობები წარმოდგებილია და ცალკე დოკუმენტის სახით მოცემულია კომპლექსური დავალების განხორციელების ნაბიჯები. კურიკულუმებში მისათითებელია გრიფირებული სახელმძღვანელოები და რესურსების ბმულები. მუსიკის კურიკულუმებში კვლავ გასათავლისწინებელია რჩევა.**

(ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან)

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია, რომ მოსწავლის განვითარების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგნობრივი კომპეტენციისა და ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას, რასაც ხელს უწყობს დაწყებით საფეხურზე გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში შექმნილი კურიკულუმები, სადაც ასახული საკითხები/ქვესაკითხები სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით- კომპლექსური დავალებების მიხედვით მუშავდება, რაც გაწერილია დანართებში თემატურ მატრიცების მიხედვით (მაგ: ჩვენი საქართველო (V- VI) და მე და საზოგადოების (II- III) საგნები). შესაბამისად, მოსწავლეების მიერ მისი განხორციელების პროცესში ხდება საგნობრივი კომპეტენციისა და გლობალური (ფუნქციური) უნარების ჩამოყალიბება და გაუმჯობესება.

სახელმწიფო ენა - რჩევა: სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთი კლასის კურიკულუმში შეიმჩნევა ბუნდოვანება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში (კერძოდ, II- IV-V კლასებში გაწერილი სამიზნე ცნებები). თუმცა სხვა კლასების კურიკულუმები ითვალისწინებს ესგ-ს მიზნებს. შესაბამისად, სასურველი იქნება, თუ დაწყებითი კლასების პედაგოგები ყველა კლასის კურიკულუმში უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების, საკითხებისა და თემების შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. სკოლის მიერ წარმოდგენია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი სადაც ასახულია, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი სასწავლო მიდგომების შემუშავებას. რის მიხედვით იგეგმება სასკოლო კურიკულუმები და ხორციელდება სასწავლო პროცესი. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შექმნილი აქვს მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოსა კურიკულუმის ჩარჩოები და შესაბამისი დანართები

თემატური მატრიცების სახით, სადაც ასახულია მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით შინაარსობრივი ნაწილი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებისა და მეთოდების გამოყენებით, რომლის განხორციელების დროს პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ სურვილებსა და შესაძლებლობებს, რისი დასტურია განხორციელებული კომპლექსური დავალებებისა და სხვადასხვა პროექტების/ აქტივოებების ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით შექმნილი კურიკულუმების შინაარსობრივი ნაწილი. ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რის მიხედვით გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით იგეგმება სასწავლო პროცესი, სადაც გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის მზაობა, ინტერესი, შესაძლებლობები. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარებისა და განხორცილების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რის მიხედვით საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მოსწავლის მიღწევების ანალიზს. კერძოდ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დაფუძნებული საგნობრივი სტადარტის შედეგებზე, ფარგლებშიც შექმნილია განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები ჩვენი საქართველოს მიხედვით, ხოლო განმავითარებელი შეფასება კომპლექსური დავალების ფარგლებში ხორციელდება შემაჯამებელი კომენტარები/განმავითარებელი შეფასების (მაგ: კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტიტუტი-მუზეუმი, სამიზნე ცნება: ინსტიტუცია) მიხედვით. შესაბამისად შეფასების რუბრიკები მორგებულია სტანდარტის მისაღწევ ინდიკატორებთან კონკრეტული თემატური ერთეულის მიხედვით. ამრიგად, პედაგოგებს გააზრებული და შექმნილი აქვთ გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში შეფასების რუბრიკები და მეთოდური ორიენტირები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და შეფასებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია მოსწავლის შეფასების სისტემა, შეფასების მიზნები, სახეები, ძირითადი ამოცანები, დოკუმენტი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. 1-4 კლასებში შეფასება განმავითარებელი ფორმით ხორციელდება, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმავითარებელ შეფასებებთან ერთად იწყება განმსაზღვრელი შეფასებებიც. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, განმავითარებელი შეფასებები ძირთადად ორი სახისაა, კომპლექსური

დავალების შედეგების მიღწევის დონის და ჩართულობის. შეფასების რუბრიკები რიგ შემთხვევებში ზოგად ხასიათს ატარებს, რის გამოც სკოლას მიეცა რჩევა.

ესთეტიკური აღზრდის საგნების მასწავლებლებმა ვერ შეძლეს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების წარმოდგენა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ზოგადი სახისაა და არ არის თემაზე და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სოლო ტაქსონომიის დონეების ზოგად დახასიათებას მოიცავას. მუსიკის საგანში არ არის წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ხოლო განმავითარებელი შეფასება არ არის გრძლევადიან მიზნებზე ორიენტირებული. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმაში მითითებულია, რომ სკოლამ 05.0702024 - 31.07.2024 ვადაში აღმოფხვრა ხარვეზი. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და რჩევა გათვალისწინებულია სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების საგანში. წარმოდგენილია, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მუსიკის საგანში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ზოგადი სახისაა. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილია სოლო ტაქსონომით შეფასების რუბრიკის ნიმუშიც რჩევა: მუსიკის საგანში ყველა კლასში შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შედეგებს.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილიაა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები (მაგ:საზოგადოებრივი მეცნიერებები, ჩვენი საქართველოს და მე და საზოგადოება) და თემატური მატრიცების ნიმუშები, სადაც ასახული შინაარსობრივი ნაწილი წინარე გამოცდილებას ეფუძნება, რადგან პედაგოგების მიერ წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ნიმუშების ნაწილი წინა სასწავლო წელს განხორციელდა, მოსწავლეების მიერ გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით დაიხვეწა და შესაბამისი ცვლილებების სახით გაიწერა ახალი კურიკულუმის ჩარჩოში. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

   დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;

- კურიკულუმის ჩარჩოები;
- კურიკულუმის დანართები/თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებები;
- კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა ნამუშევრები;
- ისგ დოკუმენტი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. უცხოური ენები - დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განხორციელებული პროექტები და I, II, III და IV კლასის კურიკულუმებში ასახული მრავალფეროვანი შემოქმედებითი აქტივობები იძლევა მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესალებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ ენაში მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში საერთოდ არ იყო მოცემული შემოქმედებითი აქტივობები, კურიკულუმი მოიცავდა მხოლოდ თემებს, ასევე კომპლექსური დავალების პირობაში მოცემული იყო მისაღწევი შედეგები და არა შემოქმედებითი პროდუქტი ან აქტივობები, თუმცა, ამავე კლასებში გადმოგზავნილი განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, განხორციელებული აქტივობების ფოტო მასალა და ცალკე წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მატრიცები მიმართული იყო სწორედ მოსწავლეების შემოქმედებით პროესში ჩასართავად. ამიტომაც, **სკოლას მიეცა რჩევა** შეცვალოს და განაახლოს მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმები ამ საფეხურზე არსებული სხვა კლასების კურიკულუმების მსგავსად. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.) სკოლამ წარმოადგინა შეცვლილი და ჩასწორებული კურიკულუმები, შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და რჩევა გათვალისწინებულია. თუმცა, აქვე გაჩნდა ახალი რჩევ:ა მე-6 კლასის** კურიკულუმში ერთ-ერთი აქტივობა არის შემდეგი სახის: ,,დახატე შენი ოჯახის გენეალოგიური ხე, რომელიც უნდა მოიცავდეს მოკლე ბიოგრაფიულ ინფორმაციას ,შენს ოთხ ბებია–ბაბუზე, მშობლებზე და დედმამიშვილებზე". ოჯახის გენეალოგიური ხის დახატვის აქტივობა შეიძლება პრობლემატური იყოს რამდენიმე მიზეზის გამო:

4. ის არ ითვალისწინებს ოჯახების მრავალფეროვნებას და სხვადასხვა სტრუქტურას.
5. შეიძლება გამოიწვიოს დისკომფორტი იმ მოსწავლეებში, რომლებსაც არ ჰყავთ დედმამიშვილები ან არ იცნობენ ოჯახის წევრებს.
6. იჭრება მოსწავლეების პირად სივრცეში და მოითხოვს სენსიტიური ინფორმაციის გაზიარებას.

სკოლას მიეცა რჩევა აქტივობების დაგეგმვისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის საჯაროობა, ასევე უფრო ინკლუზიური და ნაკლებად პრობლემატური იყოს მოსწავლეებისთვის. პირადი გენეალოგიური ხის ნაცვლად შეუძლიათ შექმნან წარმოსახვითო ოჯახი ,,მონსტრების", ,,ტროლების" დახატონ და ის წარუდგინონ კლასს სადაც გამოიყენებენ ის სამიზნე ლექსიკას და გრამატიკას რასაც მიემართება გაკვეთილი.

2. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ თემატურ მატრიცების გაანალიზების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მატრიცა იწყება კითხვებით, რომლებიც მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ, რა იციან უკვე თემის შესახებ. მაგალითად: "რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ პროექტის მოსამზადებლად?" შემდეგ, მოსწავლეები სწავლობენ ახალ ლექსიკას და გრამატიკულ სტრუქტურებს (მაგ. "I ჰავე", " ოუ ჰავე", " ე/სჰე/იტ ჰას"), მაგრამ ამას აკეთებენ უკვე ნაცნობ კონტექსტში - სხეულის ნაწილებისა და ფერების აღწერისას. ამის შემდეგ, მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ სხვადასხვა სტრატეგიები ახალი მასალის დასამახსოვრებლად, და ბოლოს, ამ ყველაფერზე დაყრდნობით ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს, რომელსაც მერე თავად აფასებენ. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კომპლექსური დავალების პირობებსა და მატრიცებში აქცენტი გაკეთებულია სწავლის-სწავლაზე. მატრიცა შეიცავს მრავალ მეტაკოგნიტურ კითხვას, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება გააცნობიერონ და გააანალიზონ საკუთარი სწავლის პროცესი. მაგალითად: "აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით?", "რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?". მოსწავლეებს ეკითხებათ, თუ რა სტრატეგიები გამოიყენეს სწავლის პროცესში და რომელი მათგანი აღმოჩნდა ეფექტური. მატრიცის მიხედვით მოსწავლეებს სთხოვენ დაფიქრდნენ, რა შეიძლება გააკეთონ უკეთესი შედეგების მისაღწევად მომავალში. ეს ხელს უწყობს სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებას. ასევე, მატრიცა გვთავაზობს სხვადასხვა სტრატეგიას მასალის დასამახსოვრებლად (მაგ: გამეორება, კონტექსტში გამოყენება, ვიზუალიზაცია), რაც მოსწავლეებს ეხმარება იპოვონ მათთვის ყველაზე ეფექტური მეთოდი. ამრიგად, ეს მატრიცა არა მხოლოდ ინგლისური ენის სწავლებაზეა ორიენტირებული, არამედ მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ როგორ ისწავლონ მოსწავლეებმა უფრო ეფექტურად. ეს მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეების დამოუკიდებელ და თვითრეგულირებად შემსწავლელებად ჩამოყალიბებას. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებლის განმავიტარებელი კომნტარები, მსოწავლეთა თვითშეფასების ფორმები სადაც აქცენტი გაკეთებულია სწავლის სწავლაზეც. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, უკვე განხორციელებული პროექტები და აქტივობები, გამოგზავნილი ფოტო მასალა და კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს ამ სამი კატეგორიის ინტეგრაციას. მაგალითად, მოსწავლეები იყენებენ დეკლარაციულ ცოდნას (ლექსიკა, გრამატიკა) პროცედურული დავალების შესასრულებლად (პროექტის შექმნა), ხოლო შემდეგ აანალიზებენ ამ პროცესს პირობისეული ცოდნის გასაღრმავებლად (როდის და რატომ გამოიყენეს კონკრეტული სტრატეგიები). ეს ყველაფერი ქმნის მრავალმხრივ სასწავლო გამოცდილებას, რომელიც მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას და ხელს უწყობს მათ ინტეგრირებულ გამოყენებას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

5. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, უკვე განხორციელებული პროექტები და აქტივობები, გამოგზავნილი ფოტო მასალა და კომპლექსური დავალებები ქმნიან მრავალმხრივ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლეები არა მხოლოდ იძენენ ახალ ცოდნას, არამედ აქტიურად ორგანიზებენ და აკავშირებენ ამ ცოდნას სხვადასხვა კონტექსტში. ეს მიდგომა ხელს უწყობს ღრმა და მდგრადი გაგების ჩამოყალიბებას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- განმავითარებელი შეფასება
- ფოტო მასალა
- კომპლექსური დავალებები
- მატრიცები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხური კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. კურიკულუმში წარმოდგენილი თემების ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამას ადასტურებს კურიკულუმით განსაზღვრული და განხორციელებული კომპლექსური დავალებებიც, თუმცა **ესთეტიკური აღზრდის** საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმებში არაერთგვაროვანი მდგომარეობაა. ვიზიტამდე წარმოდგენილი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში არ მუშავდებოდა ყველა

სამიზნე ცნება, თუმცა სკოლამ ვიზიტის დასრულებამდე შეძლო აღმოეფხვრა კურიკულუმში არსებული გარკვეული ხარვეზები. შესწორებული სახით წარმოდგენილ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. თუმცა არ არის მითითებული მრავალფეროვანი რესურსები, ხოლო ინტერნეტ-რესურსებს არ ახლავს შესაბამისი ბმულები. ხელოვნების მასწავლებელმა წარმოადგინა განხორციელებული კომპლექსური დავალებებიც და კომპლექსურ დავალებამდე მისასვლელი ნაბიჯების შესაბამისი დოკუმენტაცია. მუსიკის კურიკულუმებში არ არის მითითებული რესურსები და კონტექსტ-მაგალითები, რაც დაეხმარება მოსწავლეს სამიზნე ცნებების დამუშავებაში. წარმოდგენილია კლასების მიხედვით განხორცილებული კომპლექსური დავალებებიც, თუმცა ეს დავალებები არ არის შესაბამისობაში მუსიკის კურიკულუმში მითითებულ კომპლექსურ დავალებებთან და არც კომპლექსური ბუნებისაა. არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, რომელიც ასევე წარმოაჩენდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სამწუხაროდ, ვიზიტის დროს, სკოლას გამოცხადებული ჰქონდა მუსიკის მასწვლებლის ვაკანსია, რის გამოც არ იყო შესაძლებელი მუსიკის მასწავლებელთან გასაუბრება. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

სკოლის მიერ წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია ინდიკატორ 2.2.2.1-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების პერიოდად 05.07.2024-15.09.2024. .

უცხოური ენები - დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებში არ იყო გათვალისწინებული სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენები. გარდა ამისა, კომპლექსური დავალების პირობაში იყო დაწერილი მისაღწევი შედეგები და საერთოდ არ ჩანდა, რამდენად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესი გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. თუმცა, ამავე საფეხურზე დანარჩენი კლასების კურიკულუმები მიემართებოდა სამიზნე ცნებებს. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.) სკოლამ წარმოადგინა შეცვლილი და ჩასწორებული კურიკულუმები, შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და რჩევა გათვალისწინებულია.**

2. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ, სხვადასხვა დავალების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე. საკითხები და აქტივობები სასწავლო პროცესისთვის ისეა თემის ფარგლებში შერჩეული, რომ აკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს, ავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-

ემოციურ სფეროს. კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენისას მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. კათედრებზე პედაგოგებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირებისეულ ცოდნამდე. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით კათედრა იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი მუდმივად თვალს ადევნებს მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში და იღებს ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების და საჭიროებების შესახებ, თუმცა საგნების მიხედვით არაერთგვაროვანი სიტუაციაა. კერძოდ, მუსიკის საგანში არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასება არ არის სწორად შედგენილი. აღწერა არ არის სოლო ტაქსონომიის დონეებთან შეუსაბამობაში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სოლო ტაქსომონიის მიხედვით შეფასებული დავალებები, მხოლოდ დონეების ზოგად აღწერას მოიცავს არა არ არის თემაზე და სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული. მოსწავლისთვის გაკეთებული განმავითარებელი კომენტარებიც სოლო ტაქსონომიის დონეების ზოგად დახასიათებას მოიცავს, რაც არ არის განმავითარებელი შეფასება.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმაში მითითებულია, რომ სკოლამ 05.0702024 - 31.07.2024 ვადაში აღმოფხვრა ხარვეზი. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და რჩევა გათვალისწინებულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში. წარმოდგენილია, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ნიმუშებიც. მუსიკის საგანშიც წარმოდგენილია რუბრიკები, თუმცა ზოგადი სახისაა. რჩევა: მუსიკის საგანში ყველა კლასში შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიით შეფასება შემუშავდეს რუბრიკის სახითაც. განმავითარებელ შეფასებაში, როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში აისახოს

რეკომენდაციებიც, რომელიც შედეგის გაუმჯობესებაზე და გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით პროგრესზე იქნება ორიენტირებული და შეფასება არ მოიცავდეს მხოლოდ აღწერას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ.
(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)

4. სკოლამ ყველა საგანში ვერ შეძლო განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების წარმოდგენა, რაც საშუალებას მოგვცემდა განგვესაზღვრა იყო, თუ არა შეფასების სისტემა ყველ საგანში ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - არ იყო წარმოდგენილი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, მათ შორის ისინი, რომლებიც ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნას საგანში, არ იყო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების დოკუმენტაცია კომპიტერული მეცნიერებების საგანში. ამიტომ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაბამისი ინდიკატორი არ არის შესბამისობაში. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

სკოლის მიერ გადმოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში გაწერილია ვადა 31.07.2024 შეფასების რუბრიკების შექმნა/მოწესრიგებისთვის, რაც ნიშნავს რომ ამ მომენტისთვის სკოლამ ეს პრობლემა აღმოფხვრა, თუმცა თადართულ დოკუმეტაციაში კომპიუტერული ტექნოლოგიების შებასების დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, დასკვნის გამოტანა მხოლოდ შეაბამისობის გეგმიდან არის შესაძლებელი. ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნები - ხელოვნების მასწავლებელმა წარმოადგინა განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც იყო ზოგადი სახის და არ იყო თემაზე და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კი არ იყო შესაბამისი. მასწავლებელმა წარმოადგინა სოლო ტაქსონომიის შესაბამისად წარმოდგენილი დონეები, თუმცა აღნიშნული "რუბრიკა" მხოლოდ დონეების ზოგად აღწერას მოიცავდა და არ იყო საგნის და თემის ჭრილში. განმავითარებელი კომენტარის სახით ასევე სოლო ტაქონომიის დონის ზოგადი დახასიათება წარმოდგებილი, რაც არსობრივად არ არის განმავითარებელი შეფასება. მოსწავლე ვერ ვხვდება რა გააკეთა სწორად და რა არა, როგორ უნდა შეძლოს გამოსწორება. მუსიკის საგანში არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმაში მითითებულია, რომ სკოლამ 05.0702024 - 31.07.2024 ვადაში აღმოფხვდა ხარვეზი. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და რჩევა გათვალისწინებულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში. წარმოდგენილია, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მუსიკის საგანშიც წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, თუმცა ზოგადი სახისაა. რჩევა: მუსიკის საგანში**

შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სიმღერა არ არის მიზანი მუსიკის საგნის სწავლების მიზანი, შესაბამისად, არ არის სასურველი განმსაზღვრელ შეფასებაში ამ კომპოზნენტის შეფასება. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიით შეფასება შემუშავდეს რუბრიკის სახითაც.

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც აღწერილია შეფასების ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის მექანიზმი, პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის საკითხი, შეფასების ტიპები, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის წესი და პროცედურა. დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის სტანდარტთან შესაბამისობის, პროცესის და მტკიცებულებების კუთხით. კათედრის ოქმებში ასახულია და ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ შეფასების მოქმედ რუბრიკებს, კომპლექსური დავალებებისა და შემაჯამებელი დავალებების განხორციელების შემდეგ აანალიზებენ სასწავლო პროცესს, გამოყენებულ შეფასების სქემებს და მუდმივად ცვლიან და ნერგავენ ახალ ინსტრუმენტებს, ადგენენ შეფასების რუბრიკებს. სისტემატურად ხდება მასწვლებელთა ურთიერთდასწრებაც, თუმცა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ურთიერთდასწრების შემდეგ გაკეთებული შეფასებები, რეფლექსიები. სკოლას არ წარმოუდგენია უშუალოდ ვერიფიკაციის ჯგუფის ანგარიში და რეკომენდაციები, რაც ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობას და ვერიფიკაციის პროცესს ასახავდა. **რჩევა:** სკოლამ აწარმოოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით გაწერილი პროცესების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

6. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემთა, ინფორმაციათა და მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით, პირადი საქმეების, ელექტრონული ჟურნალის, არქივის საშუალებით. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შეფასება ყოველი წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში ინახება. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნულია, რომ კლასის ფარგლებში მოსწავლის მიერ შეფასების მტკიცებულებებს საგნის მასწავლებელი გადასცემს საგნობრივ კათედრას, რომელიც ინახავს არა ნაკლებ 3 წლის ვადისა. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;

- შეფასების რუბრიკები;
- კათედრების ოქმები;
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები;
- დავალების შეფასების ნიმუშები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დაწყებით საფეხურზე შექმნილია ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით (2023-2024 სასწავლო წლის) და სკოლის თვითშეფასების ფორმით. სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ ბადეს, განსაზღვრავს საგაკვეთილო ცხრილს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, სასწავლო რესურსებს, სწავლა/სწავლების სტრატეგიებს და უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია, აღნიშნულია, რომ შექმნილია საგნობრივი პროგრამები, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს სხვადასხვა გამჭოლი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, ნებელობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების და ა.შ. სკოლაში ყველა მოსწავლისთვის შექმნილია კეთილგანწყობილი, სასურველი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო. ყველა მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია

საკუთარი აზრის გამოთქმა. სკოლაში სხვადასხვა კლასის და საფეხურის მოსწავლეები თავისუფლად ამყარებენ კომუნიკაციას ერთმანეთთან. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, რომლის მიზანიცაა პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლე მოახდენს თვითრეალიზებას. სკოლის საქმიანობა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურას. შესაბამისად, **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

2. სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმის ჩარჩოებში მითითებულ მატრიცებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლეებს აქვთ დავალების პროდუქტის შექმნის არჩევანის საშუალება. პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას არჩევენ ისეთ თემებსა და კონტექსტმაგალითებს, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ და აკადემიურ გამოცდილებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესსზე, ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებაში. ისინი ემსახურებიან იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ წარმატებების მიღწევა, კერძოდ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი და ავტონომიურია. შესაბამისად, **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული დავალებებით სწავლება თავისთავად გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; სკოლაში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, მასწავლებლები მოსწავლისთვის აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი. კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს რომ, დაწყებითი კლასების პედაგოგები შეთანმხდნენ საერთო თემებსა და საკითხებზე, რომ შემდეგ შეძლონ შედეგების შედარებითი ანალიზი, ამის საფუძველზე კი მატრიცების შეჯერებული და გაუმჯობესებული ვარიანტის შექმნა. კათედრის ოქმებში იკითხება კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვა/შესრულებისას. დაწყებითი საფეხურის კლასების დამრიგებლების პორტფოლიოში წარმოდგენილი ანგარიშებიდან ჩანს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ათანხმებენ ერთმანეთთან განსახორციელებელ აქტივობებს და ამ

პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, ერთმანეთს უზიარებენ პროფესიულ ტრენინგებზე თუ ქოუჩინგის დროს მიღებულ გამოცდილებას. შესაბამისად, **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს. სკოლის დირექცია, პედაგოგები, თანამშრომლები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს. სასკოლო საზოგადოება იზიარებს ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღწერეს პოზიტიური სასკოლო გარემო და სასწავლო პროცესი, მათ აღნიშნეს რომ სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო. ფოკუსირება ხდება აღიარებაზე, ნდობაზე, მაღალი მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-24;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-24;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა:
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კლასის დამრიგებელთა პორტფოლიოები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტერვიუები პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც გაწერილია მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართულია სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი, ,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფთან“ ერთად. აღნიშნულ ეტაპზე, შესაძლოა, კათედრის ფარგლებში ურთიერთდასწრების მასალების გამოყენება, ასევე, სასკოლო საზოგადოებისგან, მათ შორის, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას, მიმდინარეობს თუ არა შემუშავებული გეგმის შესაბამისად პროცესები, ხოლო შეფასება

პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად.

რჩევა: სასურველია, სკოლამ აწარმოოს კურიკულუმის განხორციელების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის დადასტურებას (მაგ. შეფასების ჯგუფის რეფლექსიები)

(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)

2. სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილი პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც პრიორიტეტულ საკითხად თვლის. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემათა გადაჭრის გზას. როგორც გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, ურთიერთდასწრება, დაკვირვება , კოლეგისგან მიღებული უკუკავშირი ეხმარება მათ , შეიმუშაონ წარმოქმნილი სირთულეების დაძლევის საშუალებები. ,,ვერიფიკაციის მექანიზმში“ აღნიშნულია, რომ სკოლა ცდილობს დახვეწოს და განავითაროს შეფასების ინსტრუმენტები სუსტი მხარეების გამოვლენით და მათი გაუმჯობესებით. ვერიფიკაციის ჯგუფს ევალება დასკვნის დაწერა, რომლის განხილვის საფუძველზე დაწესებულება შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა, რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. მასწავლებლები კარგად იაზრებენ ამის აუცილებლობას და პროცესის მხარდასაჭერად გამოთქვამენ მზაობას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. სკოლა პრიორიტეტულად თვლის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და მათ დახმარებას კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად ფუნქციონირებს და ხორციელდება გაკვეთილებზე დაკვირვება- მონიტორინგი აქტივობების შეფასების მიზნით. სკოლაში შემუშავებულია ,,ვერიფიკაციის მექანიზმი“ , რომელშიც აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისშივე ადგენს ვერიფიკაციის გეგმას; სემესტრის ბოლოს ისინი წერენ დასკვნას, ხოლო დასკვნაში აღნიშნული ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. სკოლას ,,ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტში დანართის სახით აქვს წარმოდგენილი ,, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა“, რომელიც ამტკიცებს , რომ სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა სკოლისთვის პრიორიტეტულია.

(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერფიკაციის დოკუმენტი
- კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; ესენია ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, მშობლებისა და მასწავლებლების გამოკითხვა და სხვ. **ესთეტიკური აღზრდის** საგნებში სკოლამ ვერ წარმოადგინა სრულყოფილი შეფასების რუბრიკები. სკოლის მიერ წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები და არა თემის ფარგლებში გაწერილი და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული. ხელოვნების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მხოლოდ სოლო ტაქსონომიის დონეები ზოგად დახასიათებას მოიცავს. აღნიშნული დახასიათებაა წარმოდგენილი განმავითარებელ შეფასებადაც, რაც არსობრივად არ წარმოადგენს განმავითარებელ შეფასებას. მუსიკის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და დავალების შეფასების ნიმუშებიც არ აკმაყოფილებას მოთხოვნებს. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია.

2. მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შესაფასებლად გამოიყენება მრავალმხრივი შეფასების რუბრიკები. სკოლის ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის შეფასებისას ითვალისწინებს სხვადასხვა კონტექსტს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალხრივი მეთოდები. სკოლის ადმინისტრაციათან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მიმდინარეობს დაკვირვება, გაკვეთილზე, დასწრება, გამოკითხვა და ა.შ. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორები (სოციალური გარემო, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ხასიათი და სხვ.) **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომის ოქმები
- სასწავლო პროცესის მენეჯერის საქაღალდე
- სასკოლო კურიკულუმი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით. სასწავლო წლის მანძილზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. ჩართული პირები არიან დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და მასწავლებლები. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

2. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. როგორც გასაუბრებისას აღინიშნა, სკოლის კურიკულუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ექვემდებარება გადამუშავებას შემდგომში მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მიხედვით. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათერდრის სხდომის ოქმები
- სასკოლო კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)	☐ **შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გამახვილებულია ყურადღება კურიკულუმის შემუშავების პროცესებზე და გაწერილია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობის შესაძლებლობა და ვალდებულება. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები: დირექტორი, ადმინისტაციული საკითხების მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, საგნობრივი კათედრების მენეჯერი, მასწავლებლები, რომლებსაც ეს დოკუმეტი ავალდებულებს შეიმუშავოს კურიკულუმი ესგ-ისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინებით. როგორც აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს, კურიკულუმის დიზაინის შექმნა განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის აქტიური თანამშრომლობით. ერთად დაგეგმეს თემები და საკითხები/ქვესაკითხები, რომელსაც თემის ფარგლებში ასწავლიან საფეხურის შედეგების მისაღწევად; კომპლექსური დავალებები; ძირითადი და დამხმარე რესურსები, ასევე შეფასების ინსტრუმენტები. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გაანალიზდება წინა წლის კურიკულუმი რამდენად ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს - ვკითხულობთ დოკუმენტში. წარმოდგენილი დოკუმენტები და

პედაგოგებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ნამდვილად იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

2. წარმოდგენილ დოკუმენტებში (საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, კათედრის სხდომის ოქმები, სასკოლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები) იკითხება, აგრეთვე, კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს დადასტურდა სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინება. ამ ინტერესების საფუძველზე ხორციელდება კურიკულუმის შემუშავება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. პედაგოგებმა გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა, რომ მომავალშიც ერთობლივად შეიმუშავებენ, შექმნიან და განახორციელებენ კურიკულუმებს, მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების ინტერესების და შეხედულებების შესაბამისად. დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ სასკოლო კურიკულუმის ასპექტების ადაპტირებაში ჩართულია ყველა მასწავლებელი და თითოეულ მასწავლებელს შეუძლია შეიტანოს წინადადება სკოლის საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნულის დასტურად შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ სწორედ მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, სკოლას შეთავაზებული აქვს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობის ვალდებულება გაწერილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. სასკოლო კურიკულუმი არის მოქნილი დოკუმენტი, რომელიც შემუშავდება სკოლის საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით იქმნება სასკოლო საზოგადოების ერთობა, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმის შექმნას, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას და იგივეს ვკითხულობთ წარმოდგენილ დოკუმენტებში. სკოლაში გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რომელიც ზოგი თანამშრომლის ყოველდღიური საქმიანობაა და ზოგს კი სპეციალური ბრძანებით აქვთ დავალებული. ასევე, განსაზღვრულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის ფორმები. დოკუმენტის მიხედვით განსაკუთრებული როლი აკისრია დირექტორს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ მნიშვნელოვანია უკუკავშირის მისაღებად და შესაბამისად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია სასკოლო კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები: სკოლის სივრცე, სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, მესენჯერ ჯგუფები, სამუშაო შეხვედრები. ეს მექანიზმები

უზრუნველყოფს შემუშავებული კურიკულუმების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის და დაინტერესებულ პირთათვის. კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც იგივე დადასტურდა. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომის ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. რის მიხედვით საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები და დანართები ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის (VII- IX) მიხედვით რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი მიზნის მიხედვით მოსწავლეზე

ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. კერძოდ, კურიკულუმების დანართებში წარმოდგენილია თითოეული საგნის მიხედვით თემატური მატრიცები სადაც ნაბიჯების მიხედვით გაწერილია კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები აქტივობების და რესურსების მიხედვით და შუალედური მიზნის ფარგლებში შემოქმედებითი პროდუქტის სახით მოსწავლეთა ნამუშევრები (მაგ: გეოგრაფია- ჭიათურის მანგანუმი, ტორნადოების ხეივანი, ელ- ნინიო, იელოუსტონის ეროვნული პარკი. მოქალაქეობა- ჯანსაღი ცხოვრების წესი, ადიქცია და სხვ.) რომელიც ეყრდნობა კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს, რასაც ახალავს შეფასების რუბრიკები (მაგ: ჭიათურის მანგანუმი, ელ- ნინიო) რაც ხელს უწყობს მათზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. კურიკულუმების შექმნის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებებს, მოსწავლეთა საჭიროებებს, მზაობას და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილის მიხედვით ახდენენ კურიკულუმში ცვლილებების შეტანას, რის დიაგნოსტირებას ხელს უწყობს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მასზე დაფუძნებული მასწავლებლის კომენტარები. შესაბამისად კათედრას გააზრებული აქვს ხედვა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვის მიხედვით.

უცხოური ენები: საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების თავდაპირველი ვერსია არ იყო ორიენტირებული მოსწავლეზე ორიენტირებული. არ ჩანდა აქტივობები, არც სამიზნე ცნებები იყო მოცემული. გასაუბრების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა სესწორებული და განახლებული მე-8 კლასის კურიკულუმი ინგლისურ ენაში სადაც ყველა რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული, შესაბამისად სკოლას აქვს ცოდნა და შესაძლებლობა იგივენაირად შეასწოროს მე-7 და მე-9 კლასის კურიკულუმებიც რისი რჩევაც მიეცათ მათ.

საბაზო საფეხურზე **ხელოვნების და მუსიკის** საგნებში სკოლამ წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩოები. კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები. ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. აღნიშნული კურიკულუმები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე; კურიკულუმებში არ არის წარმოდგენილი მრავალფეროვანი რესურსები, ხოლო მუსიკის კურიკულუმებში არ არის მითთებული კონტექსტ-მაგალითები. **რჩევა:** მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისთვის კურიკულემებში მიეთითოს მრავალფეროვანი რესურსები და კონტექსტ-მაგალითები. დავალების პირობები გაიწეროს სრულყოფილის სახით. მატრიცებში ასახონ კომპლექსური დავალების განხორციელების ნაბიჯები. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.) სკოლამ წარმოადგინა ჩასწორებული კურიკულუმები, შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში**

რჩევათა ნაწილი გათვალისწინებულია. კომპლექსური დავალების პირობები წარმოდგებილია და ცალკე დოკუმენტის სახით მოცემულია კომპლექსური დავალების განხორციელების ნაბიჯები. კურიკულუმებში მისათითებელია გრიფირებული სახელმძღვანელოები და რესურსების ბმულები. მუსიკის კურიკულუმებში გვლავ გასათავლისწინებელია რჩევა.

2. საბაზო საფეხურზე გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში შექმნილია კურიკულუმები, სადაც ასახული საკითხები/ქვესაკითხები სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით მუშავდება კომპლექსური დავალებების მიხედვით, რას გაწერილია დანართებში თემატურ მატრიცებში ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის (VII- IX) საგნების მიხედვით. (მაგ: გეოგრაფია- ჭიათურის მანგანუმი, ტორნადოების ხეივანი, ელ- ნინიო, იელოუსტონის ეროვნული პარკი. მოქალაქეობა- ჯანსაღი ცხოვრების წესი, ადიქცია და სხვ.) კათედრის მიერ აღნიშნული საგნობრივ საკითხების მიხედვით, ასევე შემუშავებული და წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის მიხედვით, რაც ეფუძნება საგნობრივი კომპეტენციისა და გლობალური უნარების მიხედვით მოსწავლის მიღწევების ანალიზსა და განვითარებას, რაზე დაფუძნებით მასწავლებლები ახდენენ განმავითარებელი შეფასების კომენტარების შემუშავებას, სადაც აქცენტები კეთდება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში ცოდნის ფლობასა და ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებაზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები ფიზიკაში,ქიმიასა და ბიოლოგიაში საბაზო საფეხურზე. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრავენ საკითხებს, განსაზღვრავენ და აორგანიზებენ რესურსებს. კურიკულუმებში მითითებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ - მაგალითები,რაც გართიანებულია ტექსტებთან. აღნიშნული მასალები იწვევს მოსწავლის დაინტერესებას, ახალი ცოდნის კონსტრუირებას, საკითხის უკეთ გააზრებას და სამიზნე ცოდნის დაუფლებას. მაგ ქიმია მე-8 კლასის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალება პრეზენტაციის შექმნა სახელწოდებით ’’ სუფთა წყალი და ჯანმრთელობა’’. სასკოლო სასწავლო გეგმიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში და შესაბამისად, არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში.შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა.**(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი სადაც ასახულია, რომ სკოლა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი სასწავლო მიდგომების შემუშავებას. რის მიხედვით იგეგმება სასკოლო კურიკულუმები და ხორციელდება სასწავლო პროცესი. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შექმნილი აქვს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები და შესაბამისი საგნის დანართების- თემატური მატრიცების სახით, სადაც ასახულია მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შუალედური მიზნები- კომპლექსური დავალებები, რაც მუშავდება ეტაპებისა და ნაბიჯების მიხედვით. რომლის განხორციელების დროს პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. კათედრის მიერ ასევე შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ახდენს მოსწავლის განვითარებასა და საჭიროებების განისაზღვრას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ისგ–ის დოკუმენტი, რის საფუძველზეც ხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ადაპტირებული შუალედური დავალებების შექმნა, რისი ნიმუშიც წარმოდგენილია მოსწავლის მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტის სახით (გეოგრაფიაში- საკითხი: როგორ მოვიქცეთ მიწისძვრის დროს, მე-8 კლ.).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასკოლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლება სკოლაში, სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, მისი დაკმაყოფილების გზები, ინტერესები და ინდივიდუალურ შესაძლებლობები, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობა, , რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.სასკოლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების მომსახურეობის პირობები და სკოლის ვალდებულებები.კათედრაზე წარმოდგენილია ისგ გეგმები ერთი სსმ მოსწავლისათვის ბიოლოგიასა და ქიმიაში. როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, მასწავლებლებმა მოდიფიცირება გაუკეთეს საგნობრივ კურიკულუმებს და განსაზღვრეს ეტაპები, ასახეს მოსწავლის შედეგები.

ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. მასწვალბელებმა ნიმუშის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, როგორც ხელოვნებაში, ასევე მუსიკაში (VIII კლასი). მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის, შინაარსის და გარემოს დიფერენცირებას, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგადაც. მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები და სწავლის სტილი. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის შეფასებას, რის მიხედვით საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს საბაზო

საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მოსწავლის მიღწევების ანალიზს. კერძოდ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დაფუძნებულია საგნობრივი სტადარტის შედეგებზე, ხოლო განმავითარებელი შეფასება ეფუძნება სოლო ტაქსონომიის მექანიზმს და კომპლექსური დავალების ფარგლებში ხორციელდება შემაჯამებელი კომენტარები/განმავითარებელი შეფასების წარმოება (მაგ: ჭიათურის მანგანუმი, ელ- ნინიო). ამრიგად, პედაგოგებს გააზრებული და შექმნილი აქვთ გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში შეფასების რუბრიკები და მეთოდური ორიენტირები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და შეფასებას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია მოსწავლის შეფასების სისტემა , შეფასების მიზნები, სახეები, ძირითადი ამოცანები, დოკუმენტი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. საბაზო საფეხურზე განმავითარებელ შეფასებებთან ერთად მოქმეებს განმსაზღვრელი შეფასებებიც.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სქემები განსაზღვრავს საშინაო და საკლასო დავალების, პრეზენტაციის შეფასებებს და ზოგადია, არ ჩანს მიმართება გრძელვადიან შედეგებთან. ასევე კომპლექსური დავალებების შეფასების სქემები რიგ შემთხვევებში ზოგად ხასიათს ატარებს, რის გამოც სკოლას მიეცა რჩევა.

ესთეტიკური აღზრდის საგნების მასწავლებლებმა ვერ შეძლეს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების წარმოდგენა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ზოგადი სახისაა და არ არის თემაზე და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სოლო ტაქსონომიის დონეების ზოგად დახასიათებას მოიცავას. მუსიკის საგანში არ არის წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ხოლო განმავითარებელი შეფასება არ არის გრძლევადიან მიზნებზე ორიენტირებული. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)** შესაბამისად, **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმაში მითითებულია, რომ სკოლამ 05.0702024 - 31.07.2024 ვადაში აღმოფხვდა ხარვეზი. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და რჩევა გათვალისწინებულია სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების საგანში. წარმოდგენილია, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მუსიკის საგანშიც წარმოდგენილია შეფასების რუბრიკის ნიმუში. რჩევა: მუსიკის საგანში ყევლა კლასში შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი**

შეფასების რუბრიკები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიით შეფასება შემუშავდეს რუბრიკის სახითაც და მიეთითოს სამიზნე ცნებები.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილიაა საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები და თემატური მატრიცების ნიმუშები, სადაც ასახული შინაარსობრივი ნაწილი წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ეფუძნება, რადგან პედაგოგების მიერ წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ნიმუშების ნაწილი, წინა სასწავლო წელს განხორციელდა და მოსწავლეების მიერ გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით დაიხვეწა და შესაბამისი ცვლილებების სახით გაიწერა ახალი კურიკულუმის ჩარჩოში. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- კურიკულუმის დანართები/თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებები;
- კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა ნამუშევრები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. **კურიკულუმის განხორციელება**

2.2.2. **სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს უცხოური ენის კვირეულის პრაქტიკა, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები უცხოურ ენაში რომელიც სკოლამ წარმოადგინა თავდაპირველად საერთოდ არ ითვალისწინებს შემოქმედებით აქტივობებს, არ ჩანს რა აქტივობების განხორციელება იგეგმება და რა სამიზნე ცნებების შესაბამისია ეს აქტივობები. გარდა ამისა, კვირეულის ფარგლებში საბაზო საფეხურზე სკოლა ძირითადად პრეზენტაციების სახით წარმოადგენს დავალებებს, შესბამისად სკოლას მიეცა რჩევა გამოიყენოს მრავალფეროვანი აქტივობები, როგორიცაა: ვიდეოების შექმნა, დიორამების წარდგენა, გასვლითი ღონისძიებები. გასაუბრების შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა განახლებული და შეცვლილი კურიკულუმი მე-8 კლასის მაგალითზე სადაც მოცემულია მარავალფეროვანი აქტივობები რომელებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს მზადყოფნა იგივენაირად შეცვალოს მე-7 და მე-9 კლასის კურიკულუმები. ასევე, გასაუბრების დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ აპირებდა მსოწავლეების ძველ თბილისში გაყვანას სადაც მოირგებდენენ სტუდენტები ტურისტისა და გიდის როლს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

2. ინგლისურ ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების პირობებში არ ჩანს რომ ცოდნის აგება ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული და შეცვლილი კურიკულუმი წარმოადგენს კარგ ნიმუშს რომელიც ორიენტირებულია შემოქმედებითობასა და სამიზნე ცნებებზე, სკილის მიერ მე-8 კლასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება არ მიემართება განახლებულ კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებასა და შეიძლება ითქვას, რომ არც მე-6 თავის გაკვეთილის თემას მიემართება. კომპლექსური დავალების პირობაში რესურსად მოცემულია რომ 106 გვერდზე მოცემული ტესტი მოსწავლის წიგნში რომელიც საერთოდ არ ემთხვევა ამავე გვერდზე მოცემულ ტექსტს. გარდა ამისა, ეს კომპლექსური დავალება ვერ იქნება წინარე ცოდნაზე აგებული რადგან ამ დავალებაში მოცემული გრამატიკული ერთეულები საერთოდ არ მიემართება ამ თავში მოცემულ გრამატიკულ და ლექსიკურ ერთეულებს. მე-7 და მე-9 კლასში წარმოდგენილ კურიკულუმებში საერთოდ არ ჩანს რა აქტივობების განხორციელება იგეგმება სკოლის მხრიდან და ამავე კლაესბში არ არის გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების პირობა ან სხვა დამატებითი მასალა რაც დაადასტურებდა რომ ახალი ცოდნის აგება ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ კლასებში ვერ ახორციელებენ აქტივობებს რადგან კლასი არ აძლევთ ამის საშუალებას რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას რომ სწავლა სწვალება არ ეფუძნება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.) სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია.**

3. სკოლის მიერ გადმოგზავნილ შეფასების კრიტერიუმებში, მასწავლებლების რეფლექსიებში, განმავითარებელ კომენტარებში ჩანს რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და განმავითარებელი კომენტარები რომლებიც მიემართება ცოდნის სამ კატეგორიას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

5. მე-7 და მე-9 კლასში წარმოდგენილ კურიკულუმებში საერთოდ არ ჩანს რა აქტივობების განხორციელება იგეგმება სკოლის მხრიდან და ამავე კლასებში არ არის გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების პირობა ან სხვა დამატებითი მასალა რაც დაადასტურებდა რომ სასწავლო პროცესში ხორციელდება ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ასევე მე-8 კლასის კომპლექსური დავალება არ მიემართება სახელმძღვანელოში მოცემულ თემას, გარდა ამისა, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ კლასებში ვერ ახორციელებენ აქტივობებს რადგან კლასი არ აძლევთ ამის საშუალებას

რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, რომ ვერ ხერხდება ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)** სკოლამ წარმოადგინა შეცვლილი და ჩასწორებული კურიკულუმები, შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და რჩევა გათვალისწინებულია. აქვე გაჩნდა ახალი რჩევა: მე-7 კლასში მაგალითები შედარებისთვის გრაფაში მითითებულია სტატიები სამეცნიერო ჟურნალ Jstor-დან და ვებგვერდ History-დან როგორც ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს ამ კლასებში მოსწავლეების ინგლისური ენის დონე არ არის მაღალი შესაბამისად მათთვის რთული იქნება იმ სამეცნიერო სტატიების გაგება და წაკითხვა. გარდა ამისა, ,,მაგალითები შედარებისთვის" გრაფა მოიცავს იმის ნიმუშს თუ რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა, მაგალითად თუ წერენ იმეილს, უნდა იყოს იმეილის დაწერის ნიმუში და ზოგიერთ შემთხვევაში მოცემული ბმულები წარმოადგენს რესურსებს თუ რისი დახმარებით შეასრულონ ესა-თუ ის დავალება. სკოლას მიეცა რჩევა შემოქმედებითი აქტივობების შესასრულებლად მოსწავლეებს მიაწოდოს მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. კურიკულუმში წარმოდგენილი თემების ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნების

დამუშავება. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამას ადასტურებს კურიკულუმით განსაზღვრული და განხორციელებული კომპლექსური დავალებებიც.

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ **უცხოური ენების** კურიკულუმებში, რომელიც სკოლამ გადმოაგზავნა თავდაპირველად არ იყო გათვალისწინებული სამიზნე ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენები, კურიკულუმში საერთოდ არ ჩანდა რამდენად ესმის პედაგოგს რას მოიცავს სამიზნე ცნება თუმცა, გასაუბრებისას მხოლოდ ერთმა პედაგოგმა ახსნა სამიზნე ცნებების მნიშვნელობა. ასევე, სკოლის მიერ გაზიარებულ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებების მატრიცებში მოცემული იყო ძველი სტანდარტით სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. გარდა ამისა, კომპლექსური დავალების პირობაში იყო დაწერილი მისაღწევი შედეგები და საერთოდ არ ჩანდა რამდენად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესი გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. თუმცა, გასაუბრების შემდეგ სკოლამ, მე-8 კლასის მაგალითზე წარმოადგინა შესწორებული კურიკულუმი რომელიც მიმართება სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე. განახლებულ კურიკულუმში იმდენად დეტალურად იყო წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი დამხმარე მასალებით, რომ ერთ დღეში ასე სრულყოფილად შესრულებული კურიკულუმის გადმოგზავნა გასაკვირად გასახარია. **სკოლას მიეცა რჩევა,** საბაზო საფეხურზე დანარჩენ კლასებშიც (7,9) განაახლონ და შეცვალონ კურიკულუმები მე-8 კლასის განახლებული კურიკულუმის მსგავსად. **სკოლამ წარმოადგინა შეცვლილი და ჩასწორებული კურიკულუმები, შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და რჩევა გათვალისწინებულია.**

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმებში არაერთვვაროვანი მდგომარეობაა. სკოლის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში არ მუშავდებოდა ყველა სამიზნე ცნება და კურიკულუმი არ მოიცავდა ყველა სავალდებულო თემატურ ბლოკებს. ვიზიტის დროს სკოლას გაეწია რეკომენდაცია. სკოლამ ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა შესწორებული კურიკულუმები, თუმცა VIII კლისის კურიკულუმში თემის "დასავლეთ ევროპის საკულტო არქიტექტურა" ფარგლებში არ არის მითითებული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. IX კლასის კურიკულუმში კვალავ არ არის მოცემული ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი. მასწავლებელმა ვერ წარმოადგინა განხორციელებული კომპლექსური დავალებებიც და კომპლექსურ დავალებამდე მისასვლელი ნაბიჯების შესაბამისი დოკუმენტაცია (მატრიცა). სკოლას არ წარმოუდგენია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში განხორციელებული კომპლექსური დავალებსი ნიმუშები, რაც ასევე დაადასტურებდა სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებასა და საგნობრივ საკითხებს შორის გააზრებულ

კავშირს. მუსიკის კურიკულუმებში არ არის მითითებული მრავალფეროვანი რესურსები და კონტექსტ-მაგალითები, რაც დაეხმარება მოსწავლეს სამიზნე ცნებების დამუშავებაში. მუსიკის საგანში წარმოდგენილი განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, არ არის შესაბამისობაში კურიკულუმში მითითებულ კომპლექსურ დავალებებთან და არც კომპლექსური ბუნებისაა. სამწუხაროდ, ვიზიტის დროს, სკოლას გამოცხადებული ჰქონდა მუსიკის მასწვლებლის ვაკანსია, რის გამოც ვერ შევძელი მუსიკის მასწავლებელთან გასაუბრება და დამატებითი მტკიცებულებების ამოღება. ასევე არ არის წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ასევე წარმოაჩენდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგობრივ საკითხებზე დაყრდნობით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ზოგადი ხასიათისაა და არ არის თემაზე და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული. მასწავლებელს მიეცა რჩევა, რომ ხელოვნების კურიკულემები უნდა მოიცავდეს ყველა სავალდებულო თემატურ ბლოკს. ყველა თემას უნდა მიეთითოს სამიზნე ცნება და ქცეცნება, რომელიც თემის ფარგლებში მუშავდება. მუსიკის კურიკულუმებში მიეთითოს მრავალფეროვანი რესურსები, კონტექსტ-მაგალითები. განხორციელდეს კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს)**

სკოლის მიერ წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია ინდიკატორ 2.2.2.1-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების პერიოდად 05.07.2024-15.09.2024. .

2. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ, სხვადასხვა დავალების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე. საკითხები და აქტივობები სასწავლო პროცესისთვის ისეა თემის ფარგლებში შერჩეული, რომ აკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს, ავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენისას მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3.კათედრებზე პედაგოგებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირებისეულ ცოდნამდე. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით კათედრა იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი მუდმივად თვალს ადევნებს მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში და იღებს ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების და საჭიროებების შესახებ, თუმცა საგნების მიხედვით არაერთგვაროვანი სიტუაციაა. მუსიკის საგანში არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასება არ არის სწორად შედგენილი. აღწერა არ არის არც თემის და არც სოლო ტაქსონომიის დონეებთან შეუსაბამობაში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასბის რუბრიკები ზოგადი სახისაა, ხოლო განმავითარებელი შეფასის რუბრიკები მხოლოდ დონეების ზოგად აღწერას მოიცავს არა არ არის თემაზე და სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში. წარმოდგენილია, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მუსიკის საგანშიც წარმოდგენილია შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რჩევა: მუსიკის საგანში ყველა კლასში შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიით შეფასება შემუშავდეს რუბრიკის სახითაც. განმავითარებელ შეფასებაში, როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში აისახოს რეკომენდაციებიც, რომელიც შედეგის გაუმჯობესებაზე და გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით პროგრესზე იქნება ორიენტირებული და შეფასება არ მოიცავდეს მხოლოდ აღწერას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ.

4.სკოლამ ყველა საგანში ვერ შეძლო განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების წარმოდგენა, რაც საშუალებას მოგვცემდა განგვესაზღვრა იყო, თუ არა შეფასების სისტემა ყველ საგანში ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნები - ხელოვნების მასწავლებელმა წარმოადგინა განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც იყო ზოგადი სახის და არ იყო თემაზე და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული. ხელოვნების მასწავლებელმა წარმოადგინა ასევე სოლო ტაქსონომიის შესაბამისად წარმოდგენილი დონეები, თუმცა აღნიშნული "რუბრიკა" მხოლოდ

დონეების ზოგად აღწერას მოიცავდა და არ იყო საგნის და თემის ჭრილში შედგენილი. განმავითარებელი კომენტარის სახით ასევე სოლო ტაქონომიის დონის ზოგადი დახასიათება წარმოდგებილი, რაც არსობრივადარ არის განმავითარებელი შეფასება. მუსიკის საგანში არ არის წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიც არ არის თემის და სამიზნე ვნებებთან შესაბამისობაში. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმაში მითითებულია, რომ სკოლამ 05.0702024 - 31.07.2024 ვადაში აღმოფხვდა ხარვეზი. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და რჩევა გათვალისწინებულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში. წარმოდგენილია, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მუსიკის საგანშიც წარმოდგენილია შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რჩევა: მუსიკის საგანში ყველა საგანში შემუშავდეს უშუალოდ თემის ფარგლებში, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიით შეფასება შემუშავდეს რუბრიკის სახითაც.

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც აღწერილია შეფასების ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის მექანიზმი, პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის საკითხი, შეფასების ტიპები, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის წესი და პროცედურა. დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის სტანდარტთან შესაბამისობის, პროცესის და მტკიცებულებების კუთხით. კათედრის ოქმებში ასახულია და ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ შეფასების მოქმედ რუბრიკებს, კომპლექსური დავალებებისა და შემაჯამებელი დავალებების განხორციელების შემდეგ აანალიზებენ სასწავლო პროცესს, გამოყენებულ შეფასების სქემებს და მუდმივად ცვლიან და ნერგავენ ახალ ინსტრუმენტებს, ადგენენ შეფასების რუბრიკებს. სისტემატურად ხდება მასწვლებელთა ურთიერთდასწრებაც, თუმცა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ურთიერთდასწრების შემდეგ გაკეთებული შეფასებები, რეფლექსიები. სკოლას არ წარმოუდგენია უშუალოდ ვერიფიკაციის ჯგუფის ანგარიში და რეკომენდაციები, რაც ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობას და ვერიფიკაციის პროცესს ასახავდა. **რჩევა:** სკოლამ აწარმოოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით გაწერილი პროცესების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

6. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემთა, ინფორმაციათა და მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით, პირადი საქმეების, ელექტრონული ჟურნალის, არქივის საშუალებით. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნულია, რომ კლასის ფარგლებში მოსწავლის მიერ შეფასების მტკიცებულებებს საგნის მასწავლებელი გადასცემს საგნობრივ კათედრას, რომელიც ინახავს არა ნაკლებ 3 წლის ვადისა. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრების ოქმები;
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები;
- დავალების შეფასების ნიმუშები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საბაზო საფეხურზე შექმნილია ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით (2023-2024 სასწავლო წლის) და სკოლის თვითშეფასების ფორმით. სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ ბადეს, განსაზღვრავს საგაკვეთილო ცხრილს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, სასწავლო რესურსებს, სწავლა/სწავლების სტრატეგიებს და უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია, აღნიშნულია, რომ შექმნილია საგნობრივი პროგრამები, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს სხვადასხვა გამჭოლი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, ნებელობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების და ა.შ. სკოლაში ყველა მოსწავლისთვის შექმნილია კეთილგანწყობილი, სასურველი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო. ყველა მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია საკუთარი აზრის გამოთქმა. სკოლაში სხვადასხვა კლასის და საფეხურის მოსწავლეები თავისუფლად ამყარებენ კომუნიკაციას ერთმანეთთან. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, რომლის მიზანიცაა პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლე მოახდენს თვითრეალიზებას. სკოლის საქმიანობა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

2. სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმის ჩარჩოებში მითითებულ მატრიცებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლეებს აქვთ დავალების პროდუქტის შექმნის არჩევანის საშუალება. პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას არჩევენ ისეთ თემებსა და კონტექსტმაგალითებს, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ და აკადემიურ გამოცდილებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესსზე, ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებაში. ისინი ემსახურებიან იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ წარმატებების

მიღწევა, კერძოდ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი და ავტონომიურია. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული დავალებებით სწავლება თავისთავად გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; სკოლაში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, მასწავლებლები მოსწავლისთვის აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი. კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს რომ, პედაგოგები შეთანმხდნენ საერთო თემებსა და საკითხებზე, რომ შემდეგ შეძლონ შედეგების შედარებითი ანალიზი, ამის საფუძველზე კი მატრიცების შეჯერებული და გაუმჯობესებული ვარიანტის შექმნა. კათედრის ოქმებში იკითხება კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვა/შესრულებისას. საბაზო საფეხურის კლასების დამრიგებლების პორტფოლიოში წარმოდგენილი ანგარიშებიდან ჩანს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ათანხმებენ ერთმანეთთან განსახორციელებელ აქტივობებს და ამ პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, ერთმანეთს უზიარებენ პროფესიულ ტრენინგებზე თუ ქოუჩინგის დროს მიღებულ გამოცდილებას. შესაბამისად, **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს. სკოლის დირექცია, პედაგოგები, თანამშრომლები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს. სასკოლო საზოგადოება იზიარებს ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღწერეს პოზიტიური სასკოლო გარემო და სასწავლო პროცესი, მათ აღნიშნეს რომ სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო. ფოკუსირება ხდება აღიარებაზე, ნდობაზე, მაღალი მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-24;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა2023-24;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა: 61-103;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კლასის დამრიგებელთა პორტფოლიოები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტერვიუები პედაგოგებთან.
- ღონისძიება ''ქიმიის საათის'' რეფლექსია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომელშიც გაწერილია მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართულია სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი, ,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფთან" ერთად. აღნიშნულ ეტაპზე, შესაძლოა, კათედრის ფარგლებში ურთიერთდასწრების მასალების გამოყენება, ასევე, სასკოლო საზოგადოებისგან, მათ შორის, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას , მიმდინარეობს თუ არა შემუშავებული გეგმის შესაბამისად პროცესები, ხოლო შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად.

რჩევა: სასურველია, სკოლამ აწარმოოს კურიკულუმის განხორციელების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის დადასტურებას (მაგ. შეფასების ჯგუფის რეფლექსიები)

(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)

2. სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილი პრობლემები, რომლეთა მოგვარებასაც პრიორიტეტულ საკითხად თვლის. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემათა გადაჭრის გზას. როგორც გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, ურთიერთდასწრება, დაკვირვება , კოლეგისგან მიღებული უკუკავშირი ეხმარება მათ , შეიმუშაონ წარმოქმნილი სირთულეების დაძლევის საშუალებები. ,,ვერიფიკაციის მექანიზმში" აღნიშნულია, რომ სკოლა ცდილობს დახვეწოს და განავითაროს შეფასების ინსტრუმენტები სუსტი მხარეების გამოვლენით და მათი გაუმჯობესებით. ვერიფიკაციის ჯგუფს ევალება დასკვნის დაწერა, რომლის განხილვის საფუძველზე დაწესებულება შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა, რის განხორცილებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები კარგად იაზრებენ ამის აუცილებლობას და პროცესის მხარდასაჭერად გამოთქვამენ მზაობას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3 . სკოლა პრიორიტეტულად თვლის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და მათ დახმარებას კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად ფუნქციონირებს და ხორციელდება გაკვეთილებზე

დაკვირვება- მონიტორინგი აქტივობების შეფასების მიზნით. სკოლაში შემუშავებულია ,,ვერიფიკაციის მექანიზმი“ , რომელშიც გაწერილია, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისშივე ადგენს ვერიფიკაციის გეგმას; სემესტრის ბოლოს ისინი წერენ დასკვნას, ხოლო დასკვნაში აღნიშნული ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. სკოლას ,,ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტში დანართის სახით აქვს წარმოდგენილი ,, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა”. საბაზო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა სკოლისთვის პრიორიტეტულია. (**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერფიკაციის დოკუმენტი
- კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; ესენია ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, მშობლებისა და მასწავლებლების გამოკითხვა და სხვ. **ესთეტიკური აღზრდის** საგნებში სკოლამ ვერ წარმოადგინა სრულყოფილი შეფასების რუბრიკები. სკოლის მიერ წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები და არა თემის ფარგლებში გაწერილი და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული. ხელოვნების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მხოლოდ სოლო ტაქსონომიის დონეები ზოგად დახასიათებას მოიცავს. აღნიშნული დახასიათებაა წარმოდგენილი განმავითარებელ

შეფასებადაც, რაც არსობრივად არ წარმოადგენს განმავითარებელ შეფასებას. მუსიკის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და დავალების შეფასების ნიმუშებიც არ აკმაყოფილებას მოთხოვნებს. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია.

2. მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შესაფასებლად გამოიყენება მრავალმხრივი შეფასების რუბრიკები. სკოლის ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის შეფასებისას ითვალისწინებს სხვადასხვა კონტექსტს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალხრივი მეთოდები. სკოლის ადმინისტრაციათან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მიმდინარეობს დაკვირვება, გაკვეთილზე, დასწრება, გამოკითხვა და ა.შ. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორები (სოცილური გარემო, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ხასიათი და სხვ.) **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომის ოქმები
- სასწავლო პროცესის მენეჯერის საქაღალდე
- სასკოლო კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით. სასწავლო წლის მანძილზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. ჩართული პირები არიან დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და მასწავლებლები. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

2. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. როგორც გასაუბრებისას აღინიშნა, სკოლის კურიკულუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ექვემდებარება გადამუშავებას შემდგომში მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მიხედვით. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათერდრის სხდომის ოქმები
- სასკოლო კურიკულუმი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გამახვილებულია ყურადღება კურიკულუმის შემუშავების პროცესებზე და გაწერილია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობის შესაძლებლობა და ვალდებულება. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები: დირექტორი, ადმინისტაციული საკითხების მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, საგნობრივი კათედრების მენეჯერი, მასწავლებლები, რომლებსაც ეს დოკუმეტი ავალდებულებს შეიმუშავოს კურიკულუმი ესგ-ისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინებით. როგორც აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს, კურიკულუმის დიზაინის შექმნა განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის აქტიური თანამშრომლობით. ერთად დაგეგმეს თემები და საკითხები/ქვესაკითხები, რომელსაც თემის ფარგლებში ასწავლიან საფეხურის შედეგების მისაღწევად; კომპლექსური დავალებები; ძირითადი და დამხმარე რესურსები, ასევე შეფასების ინსტრუმენტები. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გაანალიზდება წინა წლის კურიკულუმი რამდენად ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს - ვკითხულობთ დოკუმენტში. წარმოდგენილი დოკუმენტები და

პედაგოგებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ნამდვილად იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

2. წარმოდგენილ დოკუმენტებში (საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, კათედრის სხდომის ოქმები, სასკოლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები) იკითხება, აგრეთვე, კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს დადასტურდა სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინება. ამ ინტერესების საფუძველზე ხორციელდება კურიკულუმის შემუშავება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. პედაგოგებმა გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა, რომ მომავალშიც ერთობლივად შეიმუშავებენ, შექმნიან და განახორციელებენ კურიკულუმებს, მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების ინტერესების და შეხედულებების შესაბამისად. დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ სასკოლო კურიკულუმის ასპექტების ადაპტირებაში ჩართულია ყველა მასწავლებელი და თითოეულ მასწავლებელს შეუძლია შეიტანოს წინადადება სკოლის საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნულის დასტურად შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ სწორედ მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, სკოლას შეთავაზებული აქვს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობის ვალდებულება გაწერილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. სასკოლო კურიკულუმი არის მოქნილი დოკუმენტი, რომელიც შემუშავდება სკოლის საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით იქმნება სასკოლო საზოგადოების ერთობა, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმის შექმნას, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას და იგივეს ვკითხულობთ წარმოდგენილ დოკუმენტებში. სკოლაში გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რომელიც ზოგი თანამშრომლის ყოველდღიური საქმიანობაა და ზოგს კი სპეციალური ბრძანებით აქვთ დავალებული. ასევე, განსაზღვრულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის ფორმები. დოკუმენტის მიხედვით განსაკუთრებული როლი აკისრია დირექტორს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ მნიშვნელოვანია უკუკავშირის მისაღებად და შესაბამისად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია სასკოლო კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები: სკოლის სივრცე, სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, მესენჯერ ჯგუფები, სამუშაო შეხვედრები. ეს მექანიზმები

უზრუნველყოფს შემუშავებული კურიკულუმების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის და დაინტერესებულ პირთათვის. კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც იგივე დადასტურდა. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომის ოქმები

2.1.1. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რის მიხედვით საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები და დანართები (თემატური მატრიცებისა და კომპლექსური დავალების ბარათების სახით) ისტორიის (X-XII), გეოგრაფიისა და მოქალაქეობის (X-XI) მიხედვით, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. კერძოდ, კურიკულუმების დანართებში წარმოდგენილია თითოეული საგნის მიხედვით თემატური

მატრიცები, სადაც ნაბიჯების მიხედვით გაწერილია კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები აქტივობების და რესურსების მიხედვით. რის მიხედვით წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტის სახით მოსწავლეთა ნამუშევრები (მაგ: გლობალური მოქალაქეობა, გენდერული თანასწორობა, მშვიდობის პარკი საქართველოში, ჯვაროსნული ლაშქრობები) რომელიც ეყრდნობა კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს. კურიკულუმების შექმნის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებებს, მოსწავლეთა საჭიროებებს, მზაობას და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილის მიხედვით ახდენენ კურიკულუმში ცვლილებების შეტანას, რის დიაგნოსტირებას ხელს უწყობს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, კათედრას გააზრებული აქვს ხედვა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვის მიხედვით. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს გრძელვადიანი მიზნის (სამიზნე ცნებები) ფარგლებში შექმნილი კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ასახული საკითხები სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით მუშავდება კომპლექსური დავალებების (მაგ: გლობალური მოქალაქეობა, ჯვაროსნული ლაშქრობები და სხვ.) მიხედვით, რას გაწერილია დანართებში თემატურ მატრიცებში. სკოლის მიერ ასევე შემუშავებული და წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რაც ხელს შეუწობს საგნობრივ ცოდნასთან ერთად და ფუნქციური უნარების განვითარებას. საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის მიერ ასევე განხორციელდა სავალდებულო სახის პროექტები მე-10 კლასში სამოქალაქო განათლების მიმართულებით (მაგ: გენდერული მოქალაქეობა) რაც ხელს შეუწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას/ჩამოყალიბებას მოსწავლეებში. შესაბამისად, 2.1 2.2 კრიტერიუმი შესაბამისობაშია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში საშუალო საფეხურზე. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრავენ საკითხებს, განსაზღვრავენ და აორგანიზებენ რესურსებს. კურიკულუმებში მითითებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ - მაგალითები, რაც გართიანებულია ტექსტებთან. აღნიშნული მასალები იწვევს მოსწავლის დაინტერესებას, ახალი ცოდნის კონსტრუირებას, საკითხის უკეთ გააზრებას და სამიზნე ცოდნის დაუფლებას.

მაგ ქიმია მე-11 კლასის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალება ''ნეიტრალიზაციისა და pH-ის მნიშვნელობა ყოფა-ცხოვრებაში'', რაც დაფუძნებულია კვლევით აქტივობაზე და მოსწავლეთა დაინტერესება გამოიწვია. სასკოლო სასწავლო გეგმიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში და შესაბამისად, არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა.

(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი სადაც ასახულია, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი სასწავლო მიდგომების შემუშავებას. რის მიხედვით იგეგმება სასკოლო კურიკულუმები და ხორციელდება სასწავლო პროცესი. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შექმნილი აქვს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები და შესაბამისი საგნის დანართები თემატური მატრიცების სახით, სადაც ასახულია მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შუალედური მიზნები- კომპლექსური დავალებები, რაც მუშავდება ეტაპებისა და ნაბიჯების მიხედვით, რომლის განხორციელების დროს პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. სკოლის მიერ შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რის მიხედვით გაკეთებული მასწავლებლის კომენტარები ახდენს მოსწავლის განვითარებას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ისგ-ის დოკუმენტი, რის მიხედვით ხორციელდება მოსწავლეებზე მორგებული აქტივობების/დაავლებების შექმნა. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის შეფასებას, რის მიხედვით საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს საშაულო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მოსწავლის მიღწევების ანალიზს. კერძოდ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დაფუძნებულია საგნობრივი სტადარტის შედეგებზე ხოლო განმავითარებელი შეფასება ეფუძნება სოლო ტაქსონომიის მექანიზმს და კომპლექსური დავალების ფარგლებში ხორციელდება შემაჯამებელი კომენტარები/განმავითარებელი შეფასების წარმოება. შესაბამისად შეფასების რუბრიკები მორგებულია სტანდარტის მისაღწევ ინდიკატორებთან. ამრიგად, პედაგოგებს გააზრებული და შექმნილი აქვთ გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში

შეფასების რუბრიკები და მეთოდური ორიენტირები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვასა და შეფასებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია მოსწავლის შეფასების სისტემა , შეფასების მიზნები, სახეები, ძირითადი ამოცანები, დოკუმენტი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. საბაზო საფეხურზე განმავითარებელ შეფასებებთან ერთად მოქმეებს განმსაზღვრელი შეფასებებიც.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სქემები განსაზღვრავს საშინაო და საკლასო დავალების, პრეზენტაციის შეფასებებს და ზოგადია, არ ჩანს მიმართება გრძელვადიან შედეგებთან. ასევე კომპლექსური დავალებების შეფასების სქემები რიგ შემთხვევებში ზოგად ხასიათს ატარებს, რის გამოც სკოლას მიეცა რჩევა.

ესთეტიკური აღზრდის საგნების მასწავლებლებმა ვერ შეძლეს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების წარმოდგენა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში წარმოდგენილი რუბრიკა ზოგადი სახის არის და არ არის უშუალოდ პროექტის თემაზე და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული. მუსიკის საგანში არ არის წარმოდგენილი პროექტის შეფასების რუბრიკები. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისობის გეგმაში მითითებულია, რომ სკოლამ 05.0702024 - 31.07.2024 ვადაში აღმოფხვდა ხარვეზი. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია. მუსიკის საგანში წარმოდგენილია, პროექტის შეფასების რუბრიკები, მათ შორის პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში სკოლამ ნიმუშად წარმოადგინა მე-11 კლასის პროექტის შეფასება სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით. რჩევა: სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში შემუშავდეს შეფასების რუბრიკაც, რომელიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილიაა საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები და თემატური მატრიცების ნიმუშები, სადაც ასახული შინაარსობრივი ნაწილი წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ეფუძნება, რადგან პედაგოგების მიერ წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ნიმუშების ნაწილი წინა სასწავლო წელს განხორციელდა, მოსწავლეების

მიერ გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით დაიხვეწა და შესაბამისი ცვლილებების სახით გაიწერა ახალი კურიკულუმის ჩარჩოში. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი*
- *კურიკულუმის ჩარჩოები;*
- *კურიკულუმის დანართები/თემატური მატრიცები*
- *კომპლექსური დავალებები;*
- *კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა ნამუშევრები;*
- *სასწავლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;*
- *ისგ- ის დოკუმენტი;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*

- *ღონისძიება ''ქიმიის საათი'' რეფლექსია*

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტუალურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის სესაძლებლობას. გარდა ამისა, სკოლას აქვს უცხოურ ენის კვირეულის პრაქტიკა სადაც მოსწავლეები მთლიანი კვირის განმავლობაში წარმოადგენენ უცხოურ ენაში გაკეთებულ პროექტებს რაც ასევე უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**
2. საშუალოს აფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მატრიცები და ნიმუშები ადასტურებს რომ ცოდნის აგება ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. დავალების დროს გათვალისწინებულია წინა გაკვეთილებზე ნასწავლი გრამატიკული და ლექსიკური ერთეულების გამოყენება და ამაზე დაყრდნობით შექმოქმედებითი პროექტის შექმნა. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**
3. მასწავლებელთა განმავითარებელი კომენტარები, რეფლექსიები, შეფასების კრიტერიუმები მიუთიტებს რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**
4. სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების პირობებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**
5. საშუალო საფეხურზე განხორციელებული პროექტებიდან, კომპლექსური დავალებების პირობებიდან, გამოგზავნილი ფოტო მასალებიდან და სოციალურ ქსელიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხორციელდება მსოწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხური კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. კურიკულუმში წარმოდგენილი თემების ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამას ადასტურებს კურიკულუმით განსაზღვრული და განხორციელებული კომპლექსური დავალებებიც, თუმცა **ესთეტიკური აღზრდის** საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმებში არაერთვვაროვანი მდგომარეობაა. საშუალო საფეხურზე, როგორც მეათე, ისე მეთერთმერე კლასში პროექტული სწავლება ხდება ორივე საგანში მიმდინარებოს თითო სემესტრის. განმავლობაში. სკოლის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ თითო პროექტის გეგმა, შესაბამისად, არ არის ორივე კლასის კურიკულუმი წარმოდგენილი. მუსიკის საგანში არ რის წარმოდგეინლი განხორციელებული პროექტის ფარგლებში შექმნილი მოსწავლეთა ნამუშევრები და შეფასების რუბრიკები. სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების საგანში

წარმოდგენილია მხოლოდ X კლასში განხორციელებული მოსწავლის ნამუშევარი, თუმცა იგი მოიცავს მხოლდო ინტერნეტიდან გადმოტანილ ინფორმაციას და არ არის შესაბამისობაში პროექტის იდეასთან. მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მოხსენების სახით წარმოადგინეს მოსწავლეებმა პრეზენტაცია, თუმცა ვერ შეძლო შესაბამისი მტკიცემულების წარმოდგენა. შეფასების რუბრიკა კი არ არის სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული. შესაბაისად, ესთეტიკური აღზრდის საგნებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სამწუხაროდ, ვიზიტის დროს, სკოლას გამოცხადებული ჰქონდა მუსიკის მასწვლებლის ვაკანსია, რის გამოც ვერ შევძელი მუსიკის მასწავლებელთან გასაუბრება და დამატებითი მტკიცებულებების ამოღება. **რჩევა:** სკოლამ შეიმუშაოს სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმში მიეთითოს კონტექსტ-მაგალითები. განხორციელდეს კურიკულუმით განსაზღვრული პროექტები სრულყოფილი სახით, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია. მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში წარმოდგენილია პროექტის გეგმები, რომლებივ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მუსიკის საგანში წარმოდგენილია, პროექტის შეფასების რუბრიკებიც, მათ შორის პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებიც, რომელიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში სკოლამ ნიმუშად წარმოადგინა ასევე მე-11 კლასის პროექტის შეფასების ნიმუში სოლო ტაქსონომიის დონეების გათვალისწინებით. რჩევა: სასურველია პროექტული სწავლლების კურიკულუმები წარმოდგენილი იყოს ისეთი სახით, სადაც მითითებული იქნება ძირითადი საკითხი, ცნებები/ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალლითები, მრავალფეროვანი რესურსები.

2. წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ, სხვადასხვა დავალების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე. საკითხები და აქტივობები სასწავლო პროცესისთვის ისეა თემის ფარგლებში შერჩეული, რომ აკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს, ავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოციო-ემოციურ სფეროს. კომპლექსური ბუნების დავალებების განხორცილებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენისას მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში

სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3.კათედრებზე პედაგოგებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირებისეულ ცოდნამდე. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით კათედრა იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი მუდმივად თვალს ადევნებს მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში და იღებს ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების და საჭიროებების შესახებ. თუმცა საგნების მიხედვით არაერთგვაროვანი სიტუაციაა. **ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნებში** არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი სახით პროექტის შეფასების რუბრიკები. ხელოვნების საგანში X კლასის პროექტის შეფასების რუბრიკა ზოგადი სახისაა და არ არის თემაზე და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული, ხოლო XI კლასის შეფასების რუბრიკა არ არის წარმოდგენილი. მუსიკის საგანში არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. რჩევა: შემუშავდეს პროექტის შეფასების რუბრიკები, რომელიც იქნება თემაზე და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია. მუსიკის საგანში წარმოდგენილია, პროექტის შეფასების რუბრიკები, მათ შორის პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში სკოლამ ნიმუშად წარმოადგინა მე-11 კლასის პროექტის შეფასება სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით. რჩევა: სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში შემუშავდეს შეფასების რუბრიკაც. განმავითარებელ შეფასებაში, როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში აისახოს რეკომენდაციებიც, რომელიც შედეგის გაუმჯობესებაზე და გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით პროგრესზე იქნება ორიენტირებული და შეფასება არ მოიცავდეს მხოლოდ აღწერას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ.

4. სკოლამ ყველა საგანში ვერ შეძლო განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების წარმოდგენა, რაც საშუალებას მოგვცემდა განგვესაზღვრა იყო, თუ არა შეფასების სისტემა ყველ საგანში ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნები - ხელოვნების მასწავლებლის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა პროექტის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო X კლასის შეფასების რუბრიკა ზოგადია და არ არის თემაზე და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული. მუსიკის საგანში არ არის წარმოდგენილი პროექტის შეფასების რუბრიკები. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია.

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც აღწერილია შეფასების ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის მექანიზმი, პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის საკითხი, შეფასების ტიპები, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის წესი და პროცედურა. დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის სტანდარტთან შესაბამისობის, პროცესის და მტკიცებულებების კუთხით. კათედრის ოქმებში ასახულია და ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ შეფასების მოქმედ რუბრიკებს, კომპლექსური დავალებებისა და შემაჯამებელი დავალებების განხორციელების შემდეგ აანალიზებენ სასწავლო პროცესს, გამოყენებულ შეფასების სქემებს და მუდმივად ცვლიან და ნერგავენ ახალ ინსტრუმენტებს, ადგენენ შეფასების რუბრიკებს. სისტემატურად ხდება მასწვლებელთა ურთიერთდასწრებაც, თუმცა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ურთიერთდასწრების შემდეგ გაკეთებული შეფასებები, რეფლექსიები. სკოლას არ წარმოუდგენია უშუალოდ ვერიფიკაციის ჯგუფის ანგარიში და რეკომენდაციები, რაც ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობას და ვერიფიკაციის პროცესს ასახავდა. **რჩევა:** სკოლამ აწარმოოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით გაწერილი პროცესების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

6. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემთა, ინფორმაციათა და მტკიცებულებათა სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით, პირადი საქმეების, ელექტრონული ჟურნალის, არქივის საშუალებით.. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნულია, რომ კლასის ფარგლებში მოსწავლის მიერ შეფასების მტკიცებულებებს საგნის მასწავლებელი გადასცემს საგნობრივ კათედრას, რომელიც ინახავს არა ნაკლებ 3 წლის ვადისა. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;

- შეფასების რუბრიკები;
- კათედრების ოქმები;
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები;
- დავალების შეფასების ნიმუშები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საშუალო საფეხურზე შექმნილია ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით (2023-2024 სასწავლო წლის) და სკოლის თვითშეფასების ფორმით. სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ ბადეს, განსაზღვრავს საგაკვეთილო ცხრილს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, სასწავლო რესურსებს, სწავლა/სწავლების სტრატეგიებს და უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია, აღნიშნულია, რომ შექმნილია საგნობრივი პროგრამები, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს სხვადასხვა გამჭოლი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, ნებელობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების და ა.შ. სკოლაში ყველა მოსწავლისთვის შექმნილია კეთილგანწყობილი, სასურველი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო. ყველა მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია საკუთარი აზრის გამოთქმა. სკოლაში სხვადასხვა კლასის და საფეხურის მოსწავლეები თავისუფლად ამყარებენ

კომუნიკაციას ერთმანეთთან. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, რომლის მიზანიცაა პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლე მოახდენს თვითრეალიზებას. სკოლის საქმიანობა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურას. შესაბამისად, **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

2. სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმის ჩარჩოებში მითითებულ მატრიცებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლეებს აქვთ დავალების პროდუქტის შექმნის არჩევანის საშუალება. პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას არჩევენ ისეთ თემებსა და კონტექსტმაგალითებს, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ და აკადემიურ გამოცდილებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესსზე, ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებაში. ისინი ემსახურებიან იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ წარმატებების მიღწევა, კერძოდ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი და ავტონომიურია. შესაბამისად, **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული დავალებებით სწავლება თავისთავად გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; სკოლაში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, მასწავლებლები მოსწავლისთვის აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი. კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს რომ, პედაგოგები შეთანმხდნენ საერთო თემებსა და საკითხებზე, რომ შემდეგ შეძლონ შედეგების შედარებითი ანალიზი, ამის საფუძველზე კი მატრიცების შეჯერებული და გაუმჯობესებული ვარიანტის შექმნა. კათედრის ოქმებში იკითხება კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვა/შესრულებისას. საშუალო საფეხურის კლასების დამრიგებლების პორტფოლიოში წარმოდგენილი ანგარიშებიდან ჩანს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ათანხმებენ ერთმანეთთან განსახორციელებელ აქტივობებს და ამ პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, ერთმანეთს უზიარებენ პროფესიულ ტრენინგებზე თუ ქოუჩინგის დროს მიღებულ გამოცდილებას. შესაბამისად, **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს. სკოლის დირექცია, პედაგოგები, თანამშრომლები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს. სასკოლო საზოგადოება იზიარებს ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღწერეს პოზიტიური სასკოლო გარემო და სასწავლო პროცესი, მათ აღნიშნეს რომ სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო. ფოკუსირება ხდება აღიარებაზე, ნდობაზე, მაღალი მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2023-24;
- ერთწლიანი 2023-24;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა: 61-103;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კლასის დამრიგებელთა პორტფოლიოები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტერვიუები პედაგოგებთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც გაწერილია მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართულია სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი, ,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფთან“ ერთად. აღნიშნულ ეტაპზე, შესაძლოა, კათედრის ფარგლებში ურთიერთდასწრების მასალების გამოყენება, ასევე, სასკოლო საზოგადოებისგან, მათ შორის, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას , მიმდინარეობს თუ არა შემუშავებული გეგმის შესაბამისად პროცესები, ხოლო შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად.

   რჩევა: სასურველია, სკოლამ აწარმოოს კურიკულუმის განხორციელების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის დადასტურებას (მაგ. შეფასების ჯგუფის რეფლექსიები)

(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)

2.. სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილი პრობლემები, რომლეთა მოგვარებასაც პრიორიტეტულ საკითხად თვლის. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემათა გადაჭრის გზას. როგორც გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, ურთიერთდასწრება, დაკვირვება , კოლეგისგან მიღებული უკუკავშირი ეხმარება მათ , შეიმუშაონ წარმოქმნილი სირთულეების დაძლევის საშუალებები. ,,ვერიფიკაციის მექანიზმში“ აღნიშნულია, რომ სკოლა ცდილობს დახვეწოს და განავითაროს შეფასების ინსტრუმენტები სუსტი მხარეების გამოვლენით და მათი გაუმჯობესებით. ვერიფიკაციის ჯგუფს ევალება დასკვნის დაწერა, რომლის განხილვის საფუძველზე დაწესებულება შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა, რის განხორცილებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. საშუალო საფეხურის მასწავლებლები კარგად იაზრებენ ამის აუცილებლობას და პროცესის მხარდასაჭერად გამოთქვამენ მზაობას.

(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)

3.სკოლა პრიორიტეტულად თვლის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და მათ დახმარებას კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად ფუნქციონირებს და ხორციელდება გაკვეთილებზე დაკვირვება-მონიტორინგი აქტივობების შეფასების მიზნით. სკოლაში შემუშავებულია ,,ვერიფიკაციის მექანიზმი“ , რომელშიც აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისშივე ადგენს ვერიფიკაციის გეგმას; სემესტრის ბოლოს ისინი წერენ დასკვნას, ხოლო დასკვნაში აღნიშნული ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. სკოლას ,,ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტში დანართის სახით აქვს წარმოდგენილი ,, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა“, რომელიც ამტკიცებს , რომ სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა სკოლისთვის პრიორიტეტულია.

(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერფიკაციის დოკუმენტი
- კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; ესენია ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, მშობლებისა და მასწავლებლების გამოკითხვა და სხვ. **ესთეტიკური აღზრდის** საგნებში სკოლამ ვერ წარმოადგინა სრულყოფილი შეფასების რუბრიკები. სკოლის მიერ წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები და არა თემის ფარგლებში გაწერილი და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული. ხელოვნების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მხოლოდ სოლო ტაქსონომიის დონეები ზოგად დახასიათებას მოიცავს. აღნიშნული დახასიათებაა წარმოდგენილი განმავითარებელ შეფასებადაც, რაც არსობრივად არ წარმოადგენს განმავითარებელ შეფასებას. მუსიკის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და დავალების შეფასების ნიმუშებიც არ აკმაყოფილებას მოთხოვნებს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის არ მოთხოვნებს.)**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია.

2. მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლეების შესაფასებლად გამოიყენება მრავალმხრივი შეფასების რუბრიკები. სკოლის ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის შეფასებისას ითვალისწინებს სხვადასხვა კონტექსტს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალხრივი მეთოდები. სკოლის ადმინისტრაციათან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მიმდინარეობს დაკვირვება, გაკვეთილზე, დასწრება, გამოკითხვა და ა.შ. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

4. შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორები (სოციალური გარემო, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ხასიათი და სხვ.) **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომის ოქმები
- სასწავლო პროცესის მენეჯერის საქაღალდე
- სასკოლო კურიკულუმი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით. სასწავლო წლის მანძილზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. ჩართული პირები არიან დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და მასწავლებლები. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

2. სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი. როგორც გასაუბრებისას აღინიშნა, სკოლის კურიკულუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ექვემდებარება გადამუშავებას შემდგომში მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მიხედვით. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათერდრის სხდომის ოქმები
- სასკოლო კურიკულუმი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- (დანართი N1 - ფოტომასალა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ცირა ნიკოლაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკატერინე წიფურია

ირმა ავალიანი



ნიკა უთალიშვილი



ნინო ლაცაბიძე

ლედი კუთხაშვილი

დიმიტრი პოპოვი

ხათუნა ქერაშვილი

ევგენი გუგულაშვილი

ნატო ხაჭაპურიძე

გიორგი კოპლატაძე

თარიღი
08 აგვისტო, 2024 წ.